საქართველოს
პარლამენტის
ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

© ყოველდღიური გაზეთი №19 (88) სამშაბათი, 31 იანვარი, 1996 ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი

ფეხბურთი

## ზედიზედ მეორე გამარჯვება

გუშინ დსთ-ს ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე თბილისის „დინამომ" მეორე მატჩი გამართა. მოლდოვის ჩემპიონთან — კიშინიოვის „ზიმბრუსთან" თამაში ჩვენმა გუნდმა ნერვიულად დაიწყო, როგორც ჩანს, იგრძნობოდა შარშან მოლდოვის ნაკრებთან წაგებული მატჩის ფსიქოლოგიური გავლენა. შეხვედრის დასაწყისში კარგად ნაცნობი სურათი განმეორდა: „ზიმბრუ" მთელი გუნდით დაცვაში ჩადგა და კონტრშეტევებით ცდილობდა წარმატების მიღწევას. „დინამო" უტევდა, მაგრამ ფრთხილად, ჭარბი ენთუზიაზმის გარეშე. ამგვარი სქემით წარმართული პირველი ნახევარი საკმაოდ უფერული გამოდგა.

მეორე ტაიმის დაწყებიდან ორი წუთი იყო გასული, როდესაც ქინქლაძემ და ყაველაშვილმა მეტოქის საჯარიმოში სწრაფი კედელი გაითამაშეს, რასაც ყაველაშვილის ზუსტი დარტყმა მოჰყვა — 1:0. გაშვებულმა გოლმა აიძულა მოლდოვის ჩემპიონი უფრო აქტიურად შეტევა მოწინააღმდეგისთვის. თბილისელები მშვიდად იცავდნენ თავს და სახიფათო კონტრშეტევებს ახორციელებდნენ. მე-60 წუთზე მეტოქის საჯარიმოსთან ბურთი ყაველაშვილმა მიიღო, ლამაზად გადაუგდო თავზე მეტოქის მცველს, მოატყუა მეკარე, შემდეგ დაზღვევაზე მოთამაშე მცველიც და ბურთი ცარიელ კარში გაგზავნა — 2:0.

ამ გამარჯვებით „დინამომ" პრაქტიკულად გაინაღდა ნახევარფინალში თამაშის უფლება. მითუმეტეს, რომ რუსეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიშით 6:2 დაამარცხა ყაზახეთის ჩემპიონი სემიპალატინსკის „ელიმაი". სხვა ქვეჯგუფებიდან ნახევარფინალში გასვლის რეალური შანსები აქვთ დონეცკის „შახტიორს" („დინამოს" სავარაუდო მეტოქეს), მოსკოვის „სპარტაკს" და ვილნიუსის „ჟალგირისს".

გუშინდელ მატჩში თბილისის „დინამომ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ზოიძე, ბერაძე, კიკნაძე, დიდავა (გაფრთხილდეს), ლობჟანიძე, ცქიტიშვილი, მაჭავარიანი, ჯამარაული, კორღალიძე (დემეტრაშვილი), ქინქლაძე, ყაველაშვილი (იაშვილი).

**საკუთარი ინფორმაცია**

## თბილისის მერიაში

30 იანვარს, თბილისის მერიაში გაიმართა ორშაბათის ტრადიციული თათბირი, რომელსაც თბილისის მერი ნიკო ლეკიშვილი უძღვებოდა. განიხილეს მერიაში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები. ჩამოყალიბდა დეპარტამენტები, კომპანიები და სამმართველოები, მოხდა სამსახურების გაერთიანება. სერიოზული შემცირება განიცადეს თვითმმართველობითმა ორგანოებმა, პრაქტიკულად გათავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან მერიის ვიცეპრემიერები.

იგივე განხორციელდება თბილისის რაიონების გამგეობებშიც, გაერთიანდებიან განყოფილებები. იარსებებს, ძირითადად, ორი მიმართულების მეურნეობა — სოციალური და საქალაქო. სამომავლოდ ფიქრობენ რაიონების გაერთიანებასაც.

## იქნებ სვანეთსაც ეშველოს

პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სპეციალური განკარგულებით, სვანეთის რეგიონი გამოცხადდა განსაკუთრებულ ზონად, რაც, უპირველეს ყოვლისა, გამოწვეულია რეგიონში არსებული მძიმე კრიმინოგენული ვითარებით.

**იბერია**

შსს პრესცენტრი გვატყობინებს

## 17 წლის პოლიციის ზემდეგი?!

მიმდინარე წლის 28 იანვარს ქალაქის სამართალდამცავმა ორგანოებმა თბილისში განახორციელეს დიდმასშტაბიანი ოპერაციები დამნაშავეთა ჯგუფების გამოსავლენად და დასაკავებლად. გაგაცნობთ ქალაქის რამდენიმე რაიონში ჩატარებული ღონისძიებების შედეგებს:

გლდანის რაიონის პოლიციის მუშაკებმა დააკავეს 10 დამნაშავე. ამოღებულია დიდძალი საბრძოლო მასალა, ავტომატური იარაღი და ნაძარცვი ნივთები. დაკავებულნი არიან:

მარტიროსოვი — 2-ჯერ ნასამართლევი. მონაწილეობდა 13 იანვრის „ლაშქრობაში": იგი დაკავებული იყო, მაგრამ რამდენიმე დღის წინ გაათავისუფლეს. ამჟამად დაპატიმრებულია ყაჩაღობისთვის.

ჩიჩხალია — აქვს აფხაზეთიდან ლტოლვილის მოწმობა, მუშაობდა სკოლის დარაჯად და... სისტემატურად ძარცვავდა სკოლას. მას აღმოუჩინეს ნაძარცვი ნივთები.

ნავროზოვი — აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება, ხელყუმბარა, ნაძარცვი ნივთები, მათ შორის — ათეულობით მაჯის საათი.

ხიზანიშვილი — მძარცველი. ამოღებულია ნაძარცვი ნივთები და ოქროულობა.

ლობაია — გლდანის ბაზრობაზე მოქალაქეს მოსტაცა ქურთუკი.

ქარაბაკი — გაიტაცა პოლიციელის მანქანა. მოახერხა მისი ცხინვალში ჩაყვანა და გაყიდვა 300 000 რუსულ რუბლად.

ოგანოვი — აღმოაჩნდა ნარკოტიკული ნივთიერება.

ბარსაგიანი — დააკავეს ავტომანქანის გატაცების მცდელობისას.

ბუჩუკური — დააკავეს ავტომანქანის გატაცების მცდელობისას.

საბურთალოს რაიონის პოლიციის მუშაკებმა დააკავეს რეკეტიორების დიდი ჯგუფი. აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს ძიება.

ისნის რაიონის პოლიციამ დააკავა ავტომანქანის ორი გამტაცებელი. მიმდინარეობს ძიება. ამოღებულია ერთი AKM-ის სისტემის ავტომატური იარაღი.

დაკავებულნი არიან კუპრეიშვილი და ბაიდაშვილი. მათ სახელზე თავდაცვის სამინისტროს აფხაზეთის კომისარიატის ბეჭდით გაცემული იყო პირადობის მოწმობები, რომლის მიხედვითაც 17 წლის ბაიდაშვილი პოლიციის ზემდეგია.

განათლება

## 13 თებერვალს სწავლა უნდა დაიწყოს!

რამდენიმე დღის წინ რესპუბლიკის განათლების მინისტრმა ბატონმა თამაზ კვაჭანტირაძემ ქალაქში სწავლის პროცესის დაწყების გაჭიანურების ძირითად მიზეზად მერიის შესაბამისი სტრუქტურების არადამაკმაყოფილებელი მუშაობა დაასახელა. ამ განცხადების კომენტარი ვთხოვეთ მუნიციპალიტეტის ვიცეპრემიერს ბატონ შალვა ოგბაიძეს. მან კორესპონდენტთან საუბრისას განაცხადა:

**„ბატონი მინისტრის შენიშვნა საფუძვლიანია. რა თქმა უნდა, ის ტექნიკური პრობლემები, რამაც განაპირობა სწავლის პროცესის დაწყების გადადება 13 თებერვლისთვის, ქალაქის მერიისა და რაიონული მმართველობის ორგანოების გადაუწყვეტი იყო.**

**მისი შეხსენება უფლებამოსილებათა და მოვალეობათა შესახებ სწორია, მაგრამ განცხადებას არ უნდა ჰქონოდა განტევების ვაცის ძებნის ფორმა. ვიღაც ერთს არ უნდა დაბრალდეს ის, რაც ყველამ დააშავა.**

**13 თებერვალს ქალაქში სასწავლო პროცესი აუცილებლად განახლდება. მოსწავლეები გაივლიან იმ 34 სასწავლო კვირას, რომელიც პროგრამითაა გათვალისწინებული".**

გუშინვე ბატონი შალვა ოგბაიძის კაბინეტში გაიმართა თბილისის რაიონების განათლების განყოფილებების ხელმძღვანელთა თათბირი. მსგავსი შეხვედრები ვიცეპრემიერის კაბინეტში რეგულარულ ხასიათს მიიღებს და 13 თებერვლამდე ყოველდღე გაიმართება. თათბირს ესწრებოდა ქალაქის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილე ბატონი ნიკო სოსელია.

განყოფილებების ხელმძღვანელებმა გააკეთეს მოკლე მოხსენებები რაიონების ტერიტორიაზე მდებარე სკოლების მდგომარეობის შესახებ. სიტუაცია სახარბიელო არ არის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყველამ აღნიშნა, რომ 13 თებერვალს ქალაქის სასწავლო დაწესებულებებში სწავლა განახლდება.

ქალაქის რამდენიმე სკოლაში უკვე მიმდინარეობს სწავლების პროცესი. დირექტორებმა თავად მოაგვარეს ჩამსხვრეული მინების, გათბობისა და შენობების შეკეთების საკითხები. უკვე დაიწყო რაიონების გამგებლობებისა და განათლების განყოფილებების აქტიური თანამშრომლობა. გამოინახა პრობლემათა მოსაგვარებლად საჭირო თანხების გარკვეული ნაწილი. დღეს მწვავედ დგას საშენი მასალის, მინის, ღუმელების და საწვავის შეძენის პრობლემა. 1 კვადრატული მეტრი 4 მმ-იანი მინა ბაზარზე 30 ათასი რუსული რუბლი ღირს. ამის გადახდის საშუალება, უამრავი ჩამსხვრეული მინის პირობებში, არც ერთ სკოლას არა აქვს.

ბატონმა შალვამ თათბირის დაწყებისთანავე განუცხადა დამსწრეთ:

— ან 13 თებერვალს დაიწყება სწავლა, ან ჩემით დაწყებული ბევრი დატოვებს დაკავებულ თანამდებობას.

მან პირდაპირ განუცხადა ქალაქის განათლების სამმართველოს უფროსის მოადგილეს, რომ თუ მუშაობა იგივე შემართებით გაგრძელდა, გაუქმდება განათლების სამმართველო და ავიყვანთ მრჩეველს განათლების დარგში. ბატონი შალვას აზრით, არ არის საჭირო ფუნქციონირებდეს ისეთი სამმართველო, რომლის შტატში 28 თანამშრომელია და ამ დროს საქმე არ კეთდება.

გამოიკვეთა აზრი, რომ არავინ უნდა დარჩეს პასიური დამკვირვებლის როლში. ყველამ უნდა იზრუნოს ისე, როგორც საკუთარი ოჯახის პრობლემების მოგვარებაზე ზრუნავს. ეძებოს პარტნიორები, ბიზნესმენები, კომერციული სტრუქტურები, ხალხი, რომელნიც მზად არის ქველმოქმედებისთვის. საკითხის გადაჭრა ყველა მოქალაქის ვალია.

ერთ-ერთი უპირველესი პრობლემაა სკოლების გათბობა. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს გათბობის საშუალებების შერჩევა. ყველა აღნიშნავს, რომ მეტად საშიშია სკოლებში ღუმელების შეტანა. პროტესტს გამოთქვამენ სახანძრო სამსახურების მუშაკები. რამდენიმე რაიონის წარმომადგენელმა ადგილობრივი სახსრებით საჭირო რაოდენობის ღუმელების და საწვავის მარაგის შეძენა შეუძლებლად მიიჩნია. ბოლოს დაადგინეს, რომ სხვა გამოსავალი არ არის და ღუმელების შეძენა გარდაუვალია. ბატონმა შალვა ოგბაიძემ შესთავაზა სამმართველოების ხელმძღვანელებს აგრონომების გამოყოფა რაიონების პარკების შესასწავლად, მოსაჭრელი და გადასაბელი ნარგავების შესარჩევად. რაიონების ხელმძღვანელებმა დამზადებული შეშის სკოლებზე განაწილებას და ადგილზე მიტანას ორგანიზაცია უნდა გაუკეთონ.

მოსაგვარებელი გახდება შენობების დაცვის პრობლემა. მოსალოდნელია სკოლების ძარცვა, ღუმელებისა და საწვავი მასალის დატაცება. ამაში გვარწმუნებს საბავშვო ბაღების მაგალითი, სადაც უკვე დანერგილია შენობების ღუმელებით გათბობის პრაქტიკა. მერიამ საკუთარი ხარჯებით შეიძინა და საბავშვო ბაღებს გადასცა 150 ცალი ღუმელი. ბატონმა შალვამ გაიხსენა ბატონი ნიკო ლეკიშვილის სიტყვები. მისთვის ერთ მეგობარს უთქვამს — მშვენიერი ღუმელები შეგიძენიათ ბაგებისთვის, ძალიან კარგად მათბობსო. საჭიროა გაკეთდეს აღრიცხვა. არ უნდა დაიკარგოს არც ერთი შეძენილი ღუმელი. ამაზე ყველა პასუხს აგებს.

ბატონმა შალვამ ისაუბრა ახალ კონტაქტებზე დემოკრატიისა და განვითარების დახმარების საერთაშორისო ფონდთან. აღნიშნული ორგანიზაციის მხრიდან ადრე იყო თანამშრომლობის სურვილი, მაგრამ რატომღაც მაშინ ვერ მოხერხდა. ფონდი სასომხეთში წავიდა და იქ განახორციელა ქვეყნის გამოსაზამთრებლად ჩასატარებელი სამუშაოების პროგრამა. მათ უამრავი იდეა აქვთ. მზად არიან დახმარება გაგვიწიონ ტექნიკური პრობლემების მოგვარების საქმეში, მოაწყონ სემინარები, შექმნან მშობელთა და მასწავლებელთა ფონდი. ვიცეპრემიერმა მოთათბირეებს გააცნო უცხოელების მიერ შედგენილი კითხვარი, რომელზეც ყველა სკოლის დირექტორმა უნდა გასცეს პასუხი. ამის შედეგად აღნიშნული ფონდის ხელმძღვანელებს ჩამოუყალიბდებათ სწორი და სრული წარმოდგენა ჩვენს პრობლემებზე.

როგორც დასაწყისშივე აღვნიშნეთ, მსგავსი თათბირები ყოველდღე გაიმართება. სამმართველოების ხელმძღვანელებს დაევალათ 13 თებერვლამდე წარმოადგინონ შესასრულებელი სამუშაოების ნუსხა და სტრუქტურების მოქმედების გეგმა. ისინი რეგულარულად გააკეთებენ მოხსენებებს შესრულებული სამუშაოების დინამიკის თაობაზე.

იმედი ვიქონიოთ, რომ ყინული დაიძვრება, საქმე გაკეთდება და სასწავლო დაწესებულებებში შეიქმნება ელემენტარული სამუშაო პირობები.

**დავით ნინიკაშვილი**

ჩეჩნეთი

## მიმდინარე დღეების ქრონიკა

„ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას არ განუსაზღვრავს თავისი პოზიცია ჩეჩნეთში რუსეთის ხელისუფალთა მოქმედების თაობაზე" — განაცხადა იშტვან დიარმატმა. „არა მგონია, რომ ჩვენ უნდა გვქონდეს რაიმე პოზიცია. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციას აწუხებს ის, რომ ჩეჩნეთში გრძელდება საომარი მოქმედებები, ირღვევა ადამიანის უფლებები და არ არსებობს დემოკრატიული ხელისუფლება. ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებულ სხვა პრობლემათა გადაწყვეტა კი რუსეთის ხელმძღვანელობის საქმეა".

\+ \+ \+

გენერალ დუდაევის „საგარეო საქმეთა მინისტრი" შემსუდინ იუსეფი, რომელიც ამჟამად ვაშინგტონში იმყოფება, კარნეგის ფონდში გამოსვლისას დამსწრე საზოგადოებას დაჰპირდა, რომ „გადაწვავს მოსკოვს", „ჩვენ გვყავს ხალხი, რომელთაც შეუძლიათ სისრულეში მოიყვანონ ეს დაპირება", — განაცხადა მან.

\+ \+ \+

ტყვია-წამლისა და პროდუქტების უკმარისობა დემორალიზაციას იწვევს დუდაევის მომხრე ბოევიკთა დაჯგუფებებში. არის დეზერტირობისა და გვარდიის თვითნებურად მიტოვების ფაქტები. დუდაევის ბევრი ყოფილი მომხრე ველარ ხედავს ვერანაირ პერსპექტივას და იარაღის ჩაბარებას თუ დამალვას ამჯობინებს.

\+ \+ \+

ჩერნომირდინმა მიიღო ისლამისტების იმამი კარიმ ალა ხანი. შეხვედრაზე მან თქვა, რომ ახლა რუსეთში დიდი ყურადღება ექცევა რელიგიურ საკითხებს. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენებს არაფერი აქვს საერთო რელიგიურ ბრძოლასთან. კარიმ ალა ხანმა თავის მხრივ აღნიშნა, რომ ბევრს სურს, სწორედ ქრისტიანთა და მუსულმანთა ომად შერაცხოს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენები, მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, ამგვარი შეფასება არ შეეფერება სინამდვილეს. ბოლოს კი დასძინა, რომ „ჩეჩნეთი რუსეთის ფედერაციის განუყოფელი ნაწილია".

\+ \+ \+

„ჩეჩნეთში არსებული რეალობიდან გამომდინარე, რომელიც შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად შეიქმნა, მოსკოველ ჩეჩენთა სათვისტომოს უხუცესთა საბჭო და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები რუსეთის მთავრობას მოუწოდებენ სასულიერო პირთა მონაწილეობით დაიწყოს მოლაპარაკებები ჩეჩნეთის არსებულ ხელისუფლებასთან", — ნათქვამია განცხადებაში, რომელსაც ხელს აწერენ უხუცესთა საბჭოს თავმჯდომარე სალმან ვაცანაევი და სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატები: ვალერი ბორშჩევი, ვიქტორ შეინისი, ელა პანფილოვა, ლევ პონომარიოვი, გლებ იაკუნინი და ვლადიმერ ლისენკო.

„როცა ჩვენ უარს ვუცხადებთ ომს, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ვილაშქრებთ არმიის ან რუსეთის სახელმწიფოს ურღვევობის წინააღმდეგ, — განაცხადა ვიქტორ შეინისმა, — მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ერთიანობა არ შეიძლება დაიცვა ან აღადგინო რაკეტების, ხიშტებისა და ყუმბარების საშუალებით".

\+ \+ \+

რუსეთის ფედერაციის ადამიანის უფლებათა დაცვის რწმუნებულმა ს.კოვალიოვმა „ინტერფაქსს" განუცხადა, რომ ჩეჩნეთში „პოლიციის ოპერაცია კი არ მიმდინარეობს განიარაღების მიზნით, არამედ მიმდინარეობს ომი ერის წინააღმდეგ, რომელსაც, შესაძლოა, საუკეთესო პოლიტიკური მიზნები არ ამოურჩევია.

მომავალ გამოსვლაში ევროპის ასამბლეაზე, რომელიც ქალაქ სტრასბურგში უნდა ჩატარდეს, ს.კოვალიოვს გადაწყვეტილი აქვს, განუცხადოს, რომ იგი „კვლავ მომხრეა ევროპის საბჭოში რუსეთის გა-

იხილეთ მე—2 გვ.



უცხოეთი

**დავოსი (შვეიცარია):** კონკრეტული ეკონომიკური გადაწყვეტილებები, რომლებიც ბოლო დროს მიიღეს რუსეთში, არწმუნებს მის უცხოელ პარტნიორებს, რომ რეფორმების კურსი უცვლელია. ასეთი აზრი გამოთქვა „ტარ-ტასისთვის" მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში რუსეთის მთავრობის მეთაურის პირველმა მოადგილემ ანატოლი ჩუბაისმა, როცა აფასებდა დავოსში თავისი შეხვედრებისა და საუბრების შედეგებს.

— რუბლის ფიქსირებული კურსის შემოღება რუსეთში შეიძლება მხოლოდ ეკონომიკის სტაბილიზაციისა და ინფლაციის მოთოკვის შემდეგ, — დასძინა ა.ჩუბაისმა.

* * *

**პარიზი:** ევროპის საბჭოში რუსეთის მიღების პერსპექტივები და სიტუაცია ჩეჩნეთში ყველაზე დამაინტრიგებელი თემებია გუშინ სტრასბურგში გახსნილ ამ საერთაშორისო ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეაზე. სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მიწვეულები არიან რუსეთის ფედერაციის საპარლამენტო დელეგაცია და რუსეთის პრეზიდენტის რწმუნებული ადამიანის უფლებების დაცვის საქმეში სერგეი კოვალიოვი.

* * *

**ვაშინგტონი:** აშშ-ს კურსი კვლავაც მიმართული იქნება იქითკენ, რომ „დავეხმაროთ რუსეთს საბაზრო რეფორმებისა და დემოკრატიისკენ სვლაში", — განაცხადა დემოკრატმა სენატორმა სემ ნანმა ტელეკომპანია „ენ-ბი-სის" საკვირაო პროგრამაში. გავლენიანი ამერიკელი კანონმდებელი დარწმუნებულია, რომ ამგვარი პოლიტიკა პასუხობს აშშ-ს ეროვნულ ინტერესებს.

* * *

**ნიუ-იორკი:** კანავერალის კონცხის (ფლორიდის შტატი) კოსმოდრომზე გუშინ დაიწყო წინასასტარტო დროის ათვლა მრავალჯერადი კოსმოსური ხომალდი „დისკავერისთვის", რომლის გაშვებითაც გაიხსნება „შატლ-მირის" პროგრამა. სტარტი გათვალისწინებულია ხუთშაბათს, 2 თებერვალს.

* * *

**რომი:** მხოლოდ ღამის საფარქვეშ შეძლეს იტალიის წესრიგის დამცველებმა სტადიონ „მარასიდან" გენუაში მილანის საფეხბურთო კლუბის დაახლოებით ათასი გულშემატკივრის გამოყვანა. პოპულარული საფეხბურთო კლუბების „ჯენოასა" და „მილანის" შეხვედრის წინ გულშემატკივრები ერთმანეთს დაერივნენ, რის შედეგადაც მოკლულია ერთი და დაჭრილია შვიდი ადამიანი.

* * *

**სანტა-ფე-დე-ბოგოტა:** სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოწესრიგებისკენ მოუწოდეს ანდების სახელმწიფოთა მეთაურებმა პერუსა და ეკვადორს, რომლებმაც ერთობლივ საზღვარზე გააჩაღეს საბრძოლო მოქმედებები. მათ გამოთქვეს გულისტკივილი, რომ ტერიტორიული დავა გადაიზარდა სერიოზულ შეიარაღებულ შეტაკებაში ორ ქვეყანას შორის, რის შედეგადაც ორივე მხრიდან დაიღუპა 30-ზე მეტი კაცი.

* * *

**ალმა-ათა:** გუშინდელი დღიდან აქ შემოიღეს განსაკუთრებული წესი იმ პირთათვის, რომლებიც არ არიან ყაზახეთის მოქალაქეები. პირებმა, რომლებიც დედაქალაქში ერთ დღეზე მეტი ხნით ჩამოდიან, უნდა გაიარონ აუცილებელი რეგისტრაცია.

ქალაქის მერის შ.კულმახანოვის აზრით, ამ ღონისძიებებმა ხელი უნდა შეუწყოს დამნაშავეობის შემცირებას, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. მარტო გასულ წელს ალმა-ათაში კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისთვის დააკავეს დსთ-ს ქვეყნების 380 მოქალაქე. შერჩევითი შემოწმებების დროს დააკავეს 245 ნარკოტიკებით მოვაჭრე, დაფიქსირდა უკანონოდ იარაღის ტარების 145 შემთხვევა.

* * *

როგორც გაზეთი „ირანი" იუწყება, თეირანში გაიხსნა დსთ-ს ქვეყნებში აკრედიტებული ირანის ელჩების თათბირი. თათბირზე გამოსვლისას ირანის საგარეო საქმეთა მინისტრმა ველაიეთიმ ხაზი გაუსვა დსთ-ს სახელმწიფოებთან ეკონომიკური კავშირების განვითარების მნიშვნელობას ამ ქვეყნების ირანის უმნიშვნელოვანეს პარტნიორად გადაქცევის მიზნით. მან მიუთითა დსთ-ს ქვეყნებისა და ირანის სახელმწიფო და კერძო კომპანიებს შორის ურთიერთობების კოორდინაციის აუცილებლობაზე.

* * *

ყოფილ იუგოსლავიაში გაეროს სამშვიდობო ძალების სარდლობამ მიიღო გადაწყვეტილება, 1 თებერვლიდან ჰუმანიტარული რეისებისთვის და „ცისფერჩაფხუტიანთა" საჭიროებისთვის გახსნას აეროდრომი ტუზლაში (აღმოსავლეთი ბოსნია).



ეროვნული ბიბლიოთეკა

სასამართლო

# ხანგრძლივი პროცესი

## წერილი № 5

30 იანვარს გ.წ. „დოკვაძე-დომუხოვსკი-გელბახიანის" სასამართლო პროცესი საკმაო დაგვიანებით დაიწყო. სასამართლოს შენობის დაცვის თანამშრომლებმა განგვიმარტეს, რომ სასამართლოს შენობაში მოქალაქეების დაგვიანებით შესვლის განკარგულება გასცა აღნიშნული პროცესის თავმჯდომარემ, ბატონმა მირზა დოლიძემ, მათვე დასძინეს, რომ აღნიშნული ქმედების მიზანია შენობაში და პროცესზე უსაფრთხოების დაცვაა. დაინტერესებული პირები შენობაში გვიან შეუშვეს. ამასთან, მანდილოსნებს საგანგებოდ გაუსინჯეს ჩანთები.

პროცესი რომ დაძაბული იქნებოდა, ეს ნათლად ჩანდა. დაცვის წევრებმა ამჯერად უკვე დარბაზის კარი დაკეტეს. დაიგვიანა სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარემაც. შენობაში ჭარბად იყვნენ, როგორც სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლები, ისე პატიმართა გულშემატკივრები, დაიგვიანეს ადვოკატებმა შ.აგლაძემ და შ.ფეიქრიშვილმა. მოულოდნელად მოვიდნენ გოგი ხოშტარია და ვახტანგ ბოჭორიშვილი. გამოჩნდა ადამიანის უფლებათა დაცვის ორგანიზაციის პრეზიდენტი — გიორგი კერვალიშვილიც. დაცვის თანამშრომლებმა სხდომათა დარბაზის კარი გააღეს და საბუთების შემოწმების შემდეგ მოქალაქეები დარბაზში შეუშვეს. პროცესზე დასწრების მსურველთა რაოდენობა იმდენად დიდი იყო, რომ დარბაზმა ყველა ვერ დაიტია და ნაწილს ფეხზე დგომა მოუწია.

+ + +

ბრალმდებელმა კახაბერ კობერიძემ სასამართლო კოლეგიის წინაშე აღძრა შუამდგომლობა საქმის აღწერილობაში მითითებულ და შემდეგ გაქრალი რამდენიმე ფურცლის დაბრუნების შესახებ, რომლებიც განსასჯელ თამაზ წიკლაურის ნასამართლეობას შეეხებოდა.

მირზა დოლიძემ და მისმა კოლეგებმა დააკმაყოფილეს პროკურორის თხოვნა და ამის შედეგად საქმეს დაერთო ცნობა წიკლაურის ნასამართლეობის შესახებ.

ადვოკატმა კუტიძემ გაიხსენა განსასჯელ მჭედლიშვილის შუამდგომლობა იმის თაობაზე, რომ დაეკითხათ მოქალაქე ჩილინდრიშვილი, რომელიც მჭედლიშვილის თქმით, მას „დანაშაულის" ჩადენის დღეს მასპინძლობდა. „ესაბოლოო სიტყვის დროსაც კი რომ განეცხადებინა მჭედლიშვილს ეს ამბავი, სასამართლოს მაინც უნდა დაეკმაყოფილებინა ეს მოთხოვნაო", — დასძინა ადვოკატმა. პროკურორმა კვლავ მიზანშეუწონლად მიიჩნია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება. სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარემ კი განსასჯელ მჭედლიშვილს ჰკითხა: „ცნობ თუ არა თავს დამნაშავედო?" — რაზედაც მჭედლიშვილმა უარყოფითად უპასუხა.

+ + +

**მხარეთა კამათი**

თავიდანვე უნდა აღინიშნოს, რომ 30 იანვარს მხოლოდ პროკურორ კახაბერ კობერიძეს მიეცა გამოსვლის საშუალება.

თავიდან მის მსჯელობას საერთო აღწერილობითი ხასიათი ჰქონდა, შემდეგ კი, მან დეტალურად მიმოიხილა განსასჯელთა მიმართ წაყენებული ბრალდებები.

კახაბერ კობერიძემ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა იმ ტერორისტულ ჯგუფზე, რომელმაც, მისი თქმით, მოაწყო აფეთქება ჩიქოვანის ქუჩაზე და რომელიც მოღვაწეობდა ყვარლის ტყეში. ბრალმდებელმა აღნიშნა, რომ ამ ტერორისტული ჯგუფის უშუალო ხელმძღვანელი იყო ზვიად გამსახურდია, რომლის მითითებითაც და სიტყვიერი განკარგულებითაც დაიწყო აღნიშნულმა ჯგუფმა ტერორისტული და ანტისახელმწიფოებრივი მოღვაწეობა.

პროკურორმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ არავითარ ზეწოლას პატიმრებზე ადგილი არ ჰქონიაო და აუხსნელად მიიჩნია ზოგიერთი ბრალდებულის მიერ ჩვენების შეცვლა (ჩვენებები შეცვალეს პ.გელბახიანმა, ი.დოკვაძემ, გ.გელბახიანმა და ვ.დომუხოვსკიმ).

ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარ ტერაქტთან დაკავშირებით ბრალმდებელმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ დამნაშავეები ითვალისწინებდნენ უზარმაზარ მატერიალურ ზარალს, ადამიანთა მსხვერპლს და მაინც წავიდნენ ამ ნაბიჯზეო. მატერიალური ზარალი კობერიძის თქმით, 10929933 მანეთს შეადგენს.

პროკურორმა სიცრუედ და საქმის შეგნებულ გაყალბებად მიიჩნია განსასჯელების ი.დოკვაძისა და პ.გელბახიანის ჩვენება იმის თაობაზე, რომ ისინი აფეთქების შემდეგ ქორწინების მილოცვის მიზნით გაემგზავრნენ მოქალაქე ბოჭორიძესთან — რატომ წავიდნენ სტუმრად ბოჭორიძესთან, როცა გელბახიანის შვილი აფეთქების შედეგად დაშავდა და როცა 5 კაცი დაიღუპაო.

პროკურორმა გამოიტანა დასკვნა, რომ ბოჭორიძესთან წასვლის მიზეზი იყო არა ამ უკანასკნელის ქორწინება, არამედ შემთხვევის ადგილიდან მიმალვა და მოვლენათა განვითარების დაცდაო.

ყვარლის საქმესთან დაკავშირებით განსასჯელებმა ადრე მისცეს ჩვენება, რომ მათი მიზანი იყო მიტინგების დაცვა, პროპაგანდისტული მუშაობა და პოლიტიკური მოღვაწეობა. ამ ჩვენებას კვლავ არ დაეთანხმა კახაბერ კობერიძე. მან განაცხადა, რომ ყოველივე ის, რაშიც ბრალდებულებს ედებათ ბრალი, სრული ჭეშმარიტებააო.

კახაბერ კობერიძეს საბრალდებო სიტყვა არ დაუმთავრებია. მან მხოლოდ რამდენიმე განსასჯელის ბრალეულობების ჩამოთვლა მოასწრო. სავარაუდოა, რომ პროკურორი დღეს დაასრულებს საბრალდებო სიტყვას და მოითხოვს განსასჯელთათვის სხვადასხვა ზომის სასჯელს.

**ირაკლი ტაბლიაშვილი**

ეკონომიკა

# ენერგეტიკული პრობლემები და მათი გადაჭრის პერსპექტიული ღონისძიებები

როგორც ცნობილია, ყოველ ოჯახს მუდმივად სჭირდება გათბობა, ცივი და ცხელი წყალი, ელექტროენერგია. მათი მოხმარების რაოდენობრივი და სტრუქტურული თანაფარდობა ბევრ გარეშე ფაქტორთან ერთად, ძირითადად, დამოკიდებულია ქვეყნის განვითარების ეკონომიკურ დონეზე და რეგლამენტირებულია მოსახლეობის რეალური შემოსავლებით.

საბჭოთა კავშირის დაშლამდე საქართველოში ჩამოყალიბდა მოთხოვნილების ისეთი დონე, რომლის უზრუნველყოფისთვის საშუალოდ, ერთ ოჯახზე გაანგარიშებით, წელიწადში 3-3,5 ტონა პირობითი სათბობი იყო საჭირო. მოსახლეობის 900 ათასამდე აბონენტი სამზარეულო-კომუნალური მოხმარების ენერგეტიკულ ხარჯებს თხევადი გაზით იკმაყოფილებდა, 510 ათასს — ბუნებრივი გაზი მიეწოდებოდა, ხოლო დანარჩენი მომხმარებლების უზრუნველსაყოფად ქვანახშირი, ნავთობპროდუქტები და შეშა იყო გამოყენებული.

დამოუკიდებელი ეკონომიკის მშენებლობის პროცესმა სხვა საკითხებთან ერთად წარმოშვა მოსახლეობის ტრადიციული ენერგეტიკული მოხმარების რაოდენობრივი და სტრუქტურული ცვლილებების აუცილებლობა. ასეთ პირობებში საქართველოს ენერგეტიკულ კომპლექსს, რომელიც პირველად სათბობზე მოთხოვნას საკუთარი რესურსების ხარჯზე, მხოლოდ 10-12 პროცენტით აკმაყოფილებს, არ ძალუძს, კვლავაც გააგრძელოს ძვირადღირებული სათბობის იმპორტი იმ რაოდენობით, როგორც ეს ადრე იყო შესაძლებელი.

თან ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ სათბობის საერთო ბალანსში მოსახლეობის მოხმარების წილი, ახლა საშუალოდ 4,5-5 მილიონი ტონით ფასდება. მდგომარეობას ამწვავებს საყოფაცხოვრებო დანიშნულების ენერგეტიკული დანადგარების დაბალი ეფექტიანობა, ენერგიის დიდი დანაკარგები და ხანგრძლივად მოქმედი შეღავათიანი ფასების ფსიქოლოგიური ზეგავლენა. აღნიშნულის გამო, ძალზე მრავალდაა სათბობისა და მისგან წარმოებული ენერგორესურსების არადანიშნულებით, არარაციონალურად და უყაირათოდ გამოყენების ფაქტები. ამ და სხვა მიზეზებით, ქვეყანაში შექმნილმა ენერგეტიკულმა და ეკონომიკურმა კრიზისმა პრაქტიკულად მოშალა სათბობის ნორმალური იმპორტის შესაძლებლობა და ტრადიციული არხები. ჯერჯერობით იმპორტს შემორჩა ბუნებრივი გაზი, რომლის მოცულობა მოხმარების მხოლოდ 30-40 პროცენტს აკმაყოფილებს. ცხადია, ასეთ პირობებში ვერ ხორციელდება სახალხო მეურნეობისა და მოსახლეობის თუნდაც მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება. რთულ პირობებში აღმოჩნდნენ ენერგოტევადი სამრეწველო საწარმოები, მომსახურების სფერო და, ხშირ შემთხვევაში, საარსებო დანიშნულების ობიექტებიც. რაც შეეხება მოსახლეობის სამზარეულო-კომუნალურ ენერგო ხარჯებს, მთავრობა იძულებულია, ძირითადი ნაწილი გამოიყენოს ამ დანიშნულებით, თუმცა, ცნობილია, რომ წარმოების სფეროს შეზღუდვა არამწარმოებელ მომხმარებელთა ხარჯზე, ეკონომიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელია. ამჟამად, ქვეყნის რეალური შესაძლებლობიდან გამომდინარე, ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის დღეღამური მოცულობები შესაბამისად 3-4 მილიონი კუბური მეტრით და 10-12 მილიონი კილოვატ საათით ფასდება. ენერგორესურსების მოხმარების ეფექტიანობის ამაღლებისა და მომჭირნეობით ხარჯვის ქმედითი ღონისძიებების გატარების შემთხვევაში, ეს დააკმაყოფილებს მოსახლეობისა და პრიორიტეტული სამრეწველო ობიექტების მინიმალურ მოთხოვნილებებს.

გარდა ამისა, აუცილებელია ბუნებრივი გაზის და ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელების მართვად და რეგულირებად რეჟიმში გადაყვანა, რათა მოგვარდეს ამ რესურსების აღრიცხვისა და რეალიზაციის სფეროში არსებული პრობლემები.

ერთი რამ ცხადია: ენერგორესურსებზე ფასების რეფორმამ მხოლოდ იმიტომ ვერ მოგვცა ეკონომიკურად საგრძნობი შედეგები, რომ მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას არ ძალუძს გადაიხადოს დახარჯული გაზისა და ელექტროენერგიის ღირებულება.

ამასთან დაკავშირებით, მოსახლეობის ენერგეტიკული კალათის ძველი მოცულობების შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია და მნიშვნელოვან კორექტირებას საჭიროებს.

პირველ რიგში, უნდა დადგინდეს რეალური ენერგეტიკული სამომხმარებლო კალათა, რომელიც დააკმაყოფილებს საოჯახო მოთხოვნილების მინიმალურად აუცილებელ დონეს. ცხადია ეს არ იქნება 3,5 ტონა პირობითი სათბობის დონეზე, უნდა ვიკმაროთ 1-1,5 ტონა სათბობის ექვივალენტი. ამ პირობებშიც კი, ოჯახის წლიური გადასახადი ყველა სახის ენერგორესურსზე მიაღწევს საშუალოდ 100 დოლარს, რაც თითქმის ერთნახევარჯერ ნაკლებია განვითარებული ქვეყნების დონესთან შედარებით, მაგრამ, მნიშვნელოვნად აჭარბებს განვითარებად ქვეყნებში არსებულ მოხმარების დონეს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჯერ კიდევ არ არის აღკვეთილი ენერგორესურსების დატაცების ფაქტები და სხვა ნეგატიური მოვლენები, რომლებიც არღვევენ განაწილების სამართლიანობის პრინციპს. სახელმწიფო-საბიუჯეტო სტრუქტურების სუბსიდირებული ენერგეტიკული ხარჯები უნდა შემცირდეს დოტაციების შემცირების ხარჯზე. ამ მხრივ დაგვჭირდება აუცილებელ ორგანიზაციულ ღონისძიებათა გატარება.

გადასასინჯია და განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს საქართველოს ენერგეტიკული განვითარების კონცეფცია. პერსპექტიული პროგრამის შემუშავების პროცესში პრიორიტეტი უნდა დაეთმოს მოსახლეობისთვის და მომსახურეობის სექტორისთვის ადგილობრივი რესურსების გამოყენებას (ნახშირი, შეშა, ნავთი, თერმული წყლები). მნიშვნელოვან ტექნიკურ განახლებას საჭიროებს საყოფაცხოვრებო სფეროში მოქმედი ენერგეტიკული დანადგარები და ხელსაწყოები. პრიორიტეტულია, აგრეთვე, ენერგოდამზოგი ტექნიკისა და ტექნოლოგიების სტიმულირება და დანერგვა.

განსაკუთრებული შესწავლის საგნად უნდა იქცეს ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი — გათბობისა და ცხელწყალმომარაგების დეცენტრალიზებული სისტემების დანერგვა. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ბუნებრივი გაზი, როგორც სათბობი, ყველა კატეგორიის მომხმარებლისთვის ძალზე პოპულარული და ტექნოლოგიურად ხელსაყრელია, საბაზრო ეკონომიკისა და საქართველოს რესურსული ბალანსის რეალობიდან გამომდინარე, ამ სათბობმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და ახლო მომავალში საჭირო გახდება ალტერნატიული შემცვლელის გამონახვა.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების სწრაფცვალებადმა კონიუნქტურამ მნიშვნელოვნად გაართულა ელექტროენერგეტიკის პერსპექტიული განვითარების საკითხები, გამკაცრდა თბოელექტროსადგურების მიმართ მოთხოვნები.

ენერგეტიკის დარგში არსებული კრიზისის შერბილება და მოხსნა უნდა განხორციელდეს საბაზრო-ეკონომიკური კანონების თანმიმდევრულად გატარებით, მაგრამ, ეს არ გამორიცხავს ზოგიერთ ორგანიზაციულ-ადმინისტრაციულ ღონისძიებათა გატარებას. საბაზრო ურთიერთობის სრულყოფამდე აუცილებელია, შეიზღუდოს ან ადმინისტრაციული წესით აიკრძალოს ელექტროენერგიის გამოყენება გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისთვის. საჭიროა შემზღუდავი სანქციების შემოღება და მათი ნორმატიული აქტებით დაკანონება. ქვეყნის ახალი ენერგეტიკული პროგრამის შემუშავების პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს საოჯახო-ენერგეტიკული კალათის სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებული საკითხების ტექნიკური და ორგანიზაციული ხელშეწყობა, როგორც მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების ერთ-ერთი აუცილებელი პირობა.

**შალვა ზარანდია**

ჩეჩნეთი

# მიმდინარე დღეების ქრონიკა

**პირველი გვერდიდან**

წევრიანებისა, მაგრამ დღეს მისი განევრიანება მკრეხელობა იქნებოდა".

იმის თაობაზე, რომ ზოგიერთს ეჭვი ეპარება მის პატრიოტობაში, ს.კოვალიოვმა ტოლსტოის სიტყვები მოიშველია — „პატრიოტიზმი ნაძირალათა უკანასკნელი თავშესაფარია".

+ + +

29 იანვარს პატრიოტულ ძალთა საზოგადოებრივი კომიტეტისა და სახალხო დაუმორჩილებლობის კავშირის მიერ მოწყობილ მიტინგზე მოსკოვში მომიტინგეები შემდეგი შინაარსის ლოზუნგებით გამოვიდნენ: „რუსებსა და ჩეჩნებს შორის ომი აწყობს ისრაელს", „ელცინი და დუდაევი — ერთი ოხერია", „წყეულიმც იყავ —. სახალხოდ არჩეულო!" მიტინგში მონაწილეობდა 500-მდე ადამიანი. მილიცია მიტინგის მსვლელობაში არ ჩარეულა.

„თუ სამხედრო მოქმედებები ჩეჩნეთში თუნდაც ერთი თვე გაგრძელდება, ომი რუსეთის ქალაქებში გადაინაცვლებს" — განაცხადა დუდაევმა — გროზნოს გარდა არსებობს კრასნოდარი, სტავროპოლი, ასტრახანის ოლქი — ყველა ცეცხლში გაეხვევა და განადგურდება". მისი თქმით, იგი აკონტროლებს სიტუაციას გროზნოში, მას მხარს უჭერენ არა მხოლოდ ჩრდილო კავკასიაში, არამედ შორეულ ქვეყნებშიც, იგი შიშობს, რომ შესაძლოა, ვერ შეაკავოს თავისი ბოევიკები, რომელთაც რუსეთის ქალაქების მიწასთან გასწორება სწყურიათ.

+ + +

ნიდერლანდების ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ადამიანის უფლებათა დაცვის სპეციალისტის, პროფესორ პიტერ კოოიმანსის აზრით, „სწორედ თვითგამორკვევის სრული უფლების უკომპრომისო მოთხოვნებს მიჰყავს მილიონობით ადამიანი ტრაგედიებამდე და ადამიანის უფლებათა დარღვევამდე. თვითგამორკვევის არსი მდგომარეობს არა გამოყოფის უფლებაში, არამედ იმის უფლებაში, რომ წარმოდგენილი იყო მმართველ ორგანოებში, გყავდეს დემოკრატიული მთავრობა და გქონდეს საშუალება, მსოფლიო საზოგადოებრიობას მიაწვდინო შენი ხმა".

+ + +

ჰელმუტ კოლმა განაცხადა, რომ გერმანია მხარს დაუჭერს ნებისმიერ ძალისხმევას, რაც ხელს შეუწყობს ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებების შეწყვეტასა და სამშვიდობო მოლაპარაკებათა დაწყებას. თუმცა, იქვე დასძინა, რომ მიუხედავად რუსეთის მთლიანობის პრინციპისადმი ერთგულებისა, იგი გმობს ჩეჩნეთში ადამიანის უფლებათა დარღვევას.

+ + +

იტარ-ტასის ცნობით, 30 იანვარს ავღანეთში ოპოზიციამ სარაკეტო დარტყმები განახორციელა ავღანეთის დედაქალაქ ქაბულზე. ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რომელსაც პრეზიდენტ რაბანის მომხრეები აკონტროლებენ, 20 ჭურვი ჩამოვარდა. გარდაიცვალა შვიდი, დაჭრილია 11 ადამიანი.

+ + +

ისლამაბადიდან „რეიტერი" იუწყება, რომ ჰეკმათიარის მომხრე გენერალ დუსტუმის ჯარებმა დაიკავეს ქ. კუნდუზი. ქალაქი ჩაბარდა მას შემდეგ, რაც ქალაქის დამცველი 500 მომხრე პრეზიდენტ რაბანისა ჰეკმათიარის მხარეზე გადავიდა.

+ + +

რუსეთის კონტრდაზვერვის მონაცემებით, ქ.გუდერმესში შეიმჩნევა დუდაევის მომხრეთა კონცენტრაცია. ქალაქში შენდება გამაგრებები, რომლებიც ქმნიან თავდაცვის ფრონტის ხაზებს ორი მიმართულებით. ჩეჩნეთის ურუს-მარტანოვის ვედენისა და გუდერმესის რაიონებში დაახლოებით 6,5 ათასი ბოევიკია. ორგანიზებული აქვთ რუსეთის არმიის ქვეგანაყოფებსა და მესაზღვრეებზე დაზვერვა.

არ არის გამორიცხული, რომ „დუდაეველები" ამზადებენ თავდასხმას სასაზღვრო პუნქტებზე. ნ.ეგოროვი გათავისუფლდა ჩეჩნეთის რესპუბლიკის ფედერალური ორგანოების ტერიტორიული მართვის აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელის თანამდებობიდან. ვიცეპრემიერ სერგეი შახრაის თქმით, ტერიტორიული მართვის ახალ ხელმძღვანელს ნ.სემიონოვს ეყოლება სამი მოადგილე — სალამბეკ ჰაჯიევი, უმარ ავტურხანოვი და ბესლან განტემიროვი.

+ + +

მინერალური წყლების აეროპორტში შემოღებულ იქნა იმიგრაციული კონტროლი, დუდაევის მომხრე ექსტრემისტთა პროვოკაციებისგან ჩრდილოკავკასიის დაცვის მიზნით, რათა აღიკვეთოს მათ მიერ იარაღისა და ნარკოტიკების გადასატანად საჰაერო ტრანსპორტის გამოყენება და სამხედრო მოქმედებების ზონაში დუდაევის რეჟიმის მომხრე უცხოელი ბოევიკების შეღწევა.

+ + +

პოსტფაქტუმი მინსკიდან იუწყება, რომ დაახლოებით ერთი თვის წინ რუსი პოლკოვნიკი ჩემოდნით ჩამოტანილი დიდი თანხით ცდილობდა ოფიცერთა მოსყიდვას ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად — განაცხადა ბელორუსის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი კოსტენკომ. ორი დღის „მოღვაწეობის" შემდეგ ანონიმი პოლკოვნიკი გამოაშკარავებულ იქნა. მისი ვიზიტი პირადი ინიციატივა იყო და რადგან არცერთმა სამხედრო მოსამსახურემ არ მიიღო მისი წინადადება, მან დატოვა ბელორუსიის ტერიტორია.

+ + +

ჩეჩნეთიდან ლტოლვილთა გამოკითხვის შედეგად ცნობილი გახდა, რომ რუსეთის არმიის ფორმაში გადაცმული ჩეჩენი ბოევიკები აწიოკებენ მშვიდობიან მოსახლეობას, მაროდიორობენ, აფიქსირებენ თავიანთ ქმედებებს ვიდეო კამერებით ისე, რომ გამოჩნდეს რუსული სამხრეები.

+ + +

პრეზიდენტმა ელცინმა ქ.ლიპეცკში მშრომელებთან შეხვედრაზე განაცხადა — „რუსეთის არმიამ ჩეჩნეთში, თავისი მისია შეასრულა. ახლა იქ იმუშავებს შინაგან საქმეთა სამინისტრო. ჩვენ განვიცდით და ყველა ძალას ვხმარობთ, რათა ჩეჩნეთის კონფლიქტი მშვიდობიანი გზით დავასრულოთ".

„აშშ-ს ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების მიმართ მშვიდი და თავშეკავებული დამოკიდებულება აქვს, ისეთი, როგორიც პარტნიორებს შეეფერებათ. სამწუხაროდ, ყველა ამგვარ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებს".

+ + +

„სახელმწიფო სათათბიროს არ ჰქონდა კონსტიტუციური უფლება, შეექმნა ჩეჩნეთის კრიზისის მიზეზების შემსწავლელი კომისია. ბრძანებულების საფუძველზე თავად რუსეთის პრეზიდენტი შექმნის კომისიას, რომელიც გამოიკვლევს ჩეჩნეთის კრიზისის მთელ ისტორიას, საფუძველსა და მიზეზებს, — განაცხადა ელცინმა.

+ + +

რუსეთისა და უცხოელი პარტნიორების ურთიერთობა ჩეჩნეთის კრიზისთან მიმართებაში კოზირევმა შეაფასა, როგორც „ურთიერთობათა სიმტკიცის გამოცდა". „არც ერთ სახელმწიფოს არ დაუსვამს კითხვის ნიშნის ქვეშ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიული მთლიანობის საკითხი. რუსეთი ჩეჩნეთში წააწყდა შეიარაღებულ ამბოხებას და საერთაშორისო კანონის ნორმების თანახმად, მის აღმოსაფხვრელად ძალა გამოიყენა", — განაცხადა კოზირევმა.

+ + +

„დუდაევის უკანონო შეიარაღებული ბანდები სამხედრო მოქმედებებს ბევრად უფრო სერიოზულად და სრული პროგრამის მიხედვით მომზადებული შეხვდნენ, ვიდრე ჩვენი სამხედროები", — განაცხადა რუსეთის ფედერაციის ორგანიზებულ დანაშაულებათა წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბ.ბატურინმა. „ადამიანები, რომლებთანაც ჩვენ მოგვიხდა შეტაკება, პროფესიონალები არიან, ისინი სამი წელი ემზადებოდნენ საომრად და სრულებით არ ჰგავნან იმ ხატს, რომელიც მათგან შექმნეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა.

+ + +

„უშედეგო აღმოჩნდა რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ცდა, ჩეჩნების ტყვეობიდან გაეთავისუფლებინათ რუსი სამხედროები", — განაცხადა მოსკოვის საპატრიარქოს საერთაშორისო საეკლესიო ურთიერთობების განყოფილების უფროსის მოადგილემ პეტლიუჩენკომ. მისი თქმით, დუდაევის გვარდიელთა მიერ წამოყენებული მოთხოვნები ყოვლად მიუღებელი იყო. „ეკლესია კვლავ მოუწოდებს მხარეებს, შეწყვიტონ სამხედრო მოქმედებები. ომს მოიგებს არა ძალა, არამედ ის, ვინც მეტ სიბრძნეს გამოიჩენს", — დასძინა მან.

+ + +

შუმეიკოს განცხადებით, რუსეთის უშიშროების საბჭოზე წყდებოდა ჩეჩნეთში არა ომის, არამედ მშვიდობის საკითხები. მან ყურადღება გაამახვილა რუსეთისა და ჩეჩნეთის საზღვრის გასწვრივ განსაკუთრებული რეჟიმის გამშვები პუნქტების შექმნის აუცილებლობაზე.

+ + +

„ამ რთულ პერიოდში, როცა სხვები ძალ-ღონეს არ იშურებენ რუსეთის ფედერაციის დასაშლელად, ჩვენ ვაცხადებთ, რომ ჩრდილოეთ ოსეთი იყო და რჩება დიადი, მრავალეროვანი რუსეთის შემადგენელ ნაწილად. რესპუბლიკის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური განვითარების წარმატება შესაძლებელია მხოლოდ ერთიანი, განუყოფელი და ძლიერი რუსეთის ფარგლებში".

ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი გალაზოვი.

+ + +

მოზდოკში ჩაფრინდა ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის დელეგაცია, რომელსაც ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციის თავმჯდომარის პირადი წარმომადგენელი იშტვან დიარმატი. მასთან ერთად მოზდოკში უნდა ჩასულიყო ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე სერგეი კოვალიოვი, რომელიც რატომღაც დელეგაციის სიაში არ აღმოჩნდა.

იშტვან დიარმატის აზრით, დუდაევს არ შეიძლება ჰქონდეს ჩეჩნეთის ლეგიტიმური ლიდერის პრეტენზია, რადგან ჩეჩნეთში ჯერ არ ჩატარებულა თავისუფალი არჩევნები.

+ + +

სახელმწიფო სათათბიროს სპიკერმა ივანე რიბკინმა მიიღო წერილი, რომელშიც მოითხოვენ „შეწყდეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია". წერილს ხელს აწერენ ჩეჩნეთში მებრძოლი ჯარისკაცები.

+ + +

„ინტერფაქსი" მოზდოკიდან იუწყება, რომ ქ.ხასავიურტში — ჩეჩნებით მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში იზრდება დაძაბულობა. გამოჩენილი ჩეჩენი საზოგადო მოღვაწე ჰაჯი მახაჩევი აგიტაციას უწევს მოსახლეობას, რომ მხარი დაუჭირონ დუდაევს. დუდაევის მომხრეები მიზნად ისახავენ, კონფლიქტში ჩაითრიონ დაღესტანი.

+ + +

კვლავ დაძაბულობაა ინგუშეთის რიგ რაიონებში. უკანონო შეიარაღებული ფორმირებების წევრთა საერთო რიცხვი 800 მეომარს შეადგენს. მათ ხელმძღვანელობს ინგუშეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ზელიმ ბატაევი.

+ + +

სერგეი კოვალიოვმა ამა წლის 10 თებერვლამდე სახელმწიფო სათათბიროში უნდა წარმოადგინოს მის მიერ ჩატარებული სამუშაოს ანგარიში.

ეკატერინბურგში დააკავეს ჩეჩნური წარმოების არყით დატვირთული სატვირთო მანქანა. ტვირთი მიჰქონდათ ქ.ჩელიაბინსკში და ეკუთვნოდა რიგი ეკონომიკური დანაშაულებებისთვის ძებნილ სომეხი ეროვნების მოქალაქეს ვინმე დურგანიანს.

46 მილიონი რუბლის ღირებულების 15 ათასი ბოთლი გაგზავნილია ექსპერტიზაზე მოსაწამლი ნივთიერებების გამოსავლენად.

+ + +

ეგორ გაიდარი: „პრეზიდენტი ზედმეტად ენდობა საიდუმლო ინფორმაციას, ამიტომ იგი მოწყვეტილია რეალობას".

+ + +

ივანე რიბკინი:" დუდაევის რეჟიმის ზოგიერთი წარმომადგენლის მუქარა, რომ გადაწვავენ მოსკოვს, არაფერს კარგს არ მოიტანს, ასეთ განცხადებებზე საჭიროა საპასუხო ადეკვატური რეაქცია".

+ + +

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ნოჟაი-იურტის რაიონში, სადაც დაღესტნიდან დიდი რაოდენობით ჩამოდიან დუდაევის მომხრე ბოევიკები. სამხედრო მოქმედებების აქტივიზირების მიზნით რუსი ოფიცრების, OMOH_ისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მებრძოლების მოკვლისთვის დანიშნულია ფულადი ჯილდოები — ათასხუთასიდან სამი ათას დოლარამდე.

+ + +

ჩეჩნეთის კრიზისისადმი ვლადიმერ ჟირინოვსკის დამოკიდებულებამ გამოიწვია მის პარტიაში ახალი წევრების მოზიდვა.

პრესმერიდიანი

# თურქეთის პრესა ჩეჩნეთის ომის შესახებ

გასულ კვირაში თურქეთის პრესა ჩეჩნეთიდან მიღებულ ცნობებს დიდ ადგილს უთმობდა. გაზეთები წერენ, რომ „რუსეთის თვითმფრინავები შეუდგნენ გროზნოს სამხრეთ ნაწილის დაბომბვას და თავიანთი მოქმედება გაავრცელეს მიმდებარე სოფლებზეც". გაზეთ „ჯუმჰურიეთის" საინფორმაციო სერვისის კორესპონდენტის ინფორმაციით, „რუსეთის არმიას სურს დუდაევის ხელში ჩაგდება". „ამ ოპერაციას კი, — წერენ გაზეთები, — ასეულობით უდანაშაულო ადამიანის მსხვერპლი მოსდევს. სოფლები განუწყვეტლივ იბომბება, რადგან ჩეჩნების რაზმები, გროზნოს დაცემის შემდეგ, ყველა მიმართულებით (განსაკუთრებით კი სამხრეთით) გაიფანტნენ".

გაზეთ „ჯუმჰურიეთს" მოჰყავს საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის სიტყვები იმის შესახებ, რომ „თუ რუსეთი ჩეჩნეთის გამო დაიშლება, ეს იქნება მეოცე საუკუნის ბოლო დროის ყველაზე საშიში ვითარების მაუწყებელი მოვლენა". შემდეგ ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ მსოფლიო თანამეგობრობამ, საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ყველა ქვეყანამ მაქსიმუმი უნდა გააკეთოს ამ ომის შესაჩერებლად.

გროზნოს ბრძოლებში, თურქეთის პრესის ინფორმაციით, ორივე მხარემ დიდი დანაკლისი განიცადა. დამკვირვებელთა მტკიცებით, რუსეთის არმიამ დაკარგა 12 ათასი ჯარისკაცი და არა 500, როგორც რუსეთის ოფიციალური წრეები აცხადებენ. გროზნო იმდენად ალიგავა მიწისაგან პირისა, რომ მას, „ფაქტობრივად, კონტროლს აღარავინ უწევს, რადგან აღარაფერია გასაკონტროლებელი ("ჯუმჰურიეთი")".

პრესა იმასაც იუწყება, რომ როგორც თურქეთში, ისე სხვა ქვეყნებში თანდათან ძლიერდება მოძრაობა „ჩეჩნეთში რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ". ასეთ მასალებს, ძირითადად, ინფორმაციული ხასიათი აქვს და კომენტარი იშვიათად ახლავს. მაგალითად, ინფორმაციები ამერიკიდან და ფინეთიდან, სადაც, თურმე, საპროტესტო აქციები ჩაატარეს იქ მცხოვრებმა თურქებმა.

თურქულ გაზეთებში გამოჩნდა სტამბოლიდან მიღებული ცნობა ჩეჩნეთში მოხალისეთა წასვლის შესახებ. ამის შესახებ განცხადება გაუკეთებია თურქეთში არსებულ „ნიზამი ალემ ოჯაქლარის" ორგანიზაციას, რომლის სახელწოდებაც ქართულად დაახლოებით ასე ჟღერს: „წესრიგის დამცველთა საერთო ოჯახი". პრესის ცნობით, ამ ორგანიზაციის სტამბოლის წარმომადგენლობის მოწოდებას უკვე გამოეხმაურა 2.645 მოხალისე, რომლებსაც „ჩეჩნეთში რუსების წინააღმდეგ საომრად წასვლის სურვილი აქვთ". „ჩვენ იქ მაინც წავალთ, მოგვეცემს თუ არ მოგვეცემს მთავრობა ამის უფლებას" (გაზეთი „გნიუნაიდინი").

„ნუ მივატოვებთ მარტო ჩეჩნებს", — ასეთი სათაური აქვს გაზეთ „თურქიეში" გამოქვეყნებულ განცხადებას, რომელსაც „ანატოლიის ბიზნესმენთა საზოგადოების — „ქირიქალეს" განყოფილების თავმჯდომარე ორჰან ალი აწერს ხელს. განცხადებაში ნათქვამია, რომ საზოგადოება სიამაყით ადევნებს თვალს „ჩეჩნების სანიმუშო მოქმედებას". ისინი რუსეთის წინააღმდეგ თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისთვის იბრძვიან, ამიტომ არ უნდა დარჩნენ მარტო ამ ბრძოლაში.

შემდეგ წერს, რომ შარშან თავისი საზოგადოების დავალებით, ვითარების შესასწავლად იმოგზაურა თურქულ რესპუბლიკებში (ჩრდ. კავკასიას გულისხმობს). „იქ ვნახეთ რწმენის სილამაზე, — წერს იგი, — თუმცა, მათ 70 წელიწადი ტყვეობაში გაატარეს". ავტორი აკრიტიკებს იმათ, ვინც დღედაღამ ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე ლაპარაკობს და დღეს თვალს ხუჭავს ჩეჩნეთის ამბებზე და მაყურებლის როლში გამოდის. „რუსეთის რისკი სასტიკი იქნება, რადგან იგი ვერ მოითმენს ჩეჩნეთის სიმდიდრის დაკარგვას. მაგრამ, ჩეჩნების შეუპოვრობა, რომელიც შეიჰ შამილიდან მოდის, თავისას იზამს, რუსებს სისხლი არ შერჩებათ", — წერს ორჰან ალი.

თურქეთის პრესა ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით საკუთარი ავტორების მასალებთან ერთად უხვად იყენებს დასავლეთის ცნობილი სააგენტოების ოპერატიულ ინფორმაციას — ძირითადად, რეპორტაჟებს, რომლებსაც „ასოშიეიტედ პრესის" და „რეიტერის" კორესპონდენტები ყოველდღიურად პირდაპირ გადმოსცემენ გროზნოდან.

ანალიზი

# გროზნო პოლიტიკურ სცენაზე

## მოსკოვმა ყველაფერი გააკეთა მთელ კავკასიაში სეპარატიზმის პოზიციების განსამტკიცებლად



ჩეჩნეთის თანამედროვე კრიზისის ...ბა შეუძლებელია კავკასიაში მისი ...მარეობის და ბოლო სამი წლის ...ელზე ჩრდილოეთ კავკასიისა და ...რკავკასიის რესპუბლიკებთან მისი ...იერთობების განვითარების გარეშე. 1991 წლის აგვისტოს (19-21 აგვი-...) პუტჩმა, რომელმაც გამოიწვია ...-ს საბოლოოდ დაშლა და დსთ-ს ...ნა, გააქტიურა ეროვნული მოძრა-... რუსეთის რესპუბლიკებში.

ჩრდილოეთ კავკასიაში ყველაზე ...კალური პოზიციები ეკავა ჩეჩენი ...ის საერთოეროვნულ კონგრესს, ...ლის აღმასკომსაც (1990 წ. 6 ...ბრიდან) მეთაურობდა ჯოხარ დუ-... 6 სექტემბერს ჩეჩნეთმა, პრეზი-... დუდაევის ხელმძღვანელობით, ...უკიდებლობა გამოაცხადა. ჩეჩნეთის ...მა ხელისუფლებამ ბიძგი მისცა ...სიის ხალხთა კონფედერაციის შე-... (ძირითადად შედგებოდა ჩრდ. ...სიის 16 ეთნოსისგან) და წამოაყენა ...კასიური სახლის" შექმნის იდეა.

...კავკასიაში უმნიშვნელოვანესი გეოს-...ტეგიული პოზიცია „სასიცოცხლო ...არიებზე" (ბაქო-როსტოვის სარკინი-...ხაზსა და ავტოტრასაზე, დაღესტნისა ... აზერბაიჯანის გაზსადენებსა და ...ობსადენებზე კონტროლი) ჩეჩნეთს ... წლის მანძილზე დამოუკიდებელი ...იტიკის გატარების საშუალებას აძ-... მხარდაჭერამ აფხაზეთისთვის (მო-...ლეები, იარაღი), ინგუშეთისა და ...რთველოსთვის (ძლიერ დამოკიდებუ-... დუდაევსა და გამსახურდიას შორის ... მეგობრობაზე და შევარდნაძისადმი ...ობაზე, რაც გადაიზარდა ოფიცია-... თბილისის წინააღმდეგი ძალები-... მხარდაჭერაში) გამოიწვია ჩრდი-... კავკასიაში ამორფული გეოპოლი-...ური ზონის შექმნა იმ რესპუბლიკე-... რომლებიც სულ უფრო აქტიურ ...უკიდებელ პოზიციებს იკავებდნენ.

...პოტენციური ეთნოკონფლიქტები ...შეთთან, მალგობეკისა და სუნჯის ...ნების ჩეჩნური სოფლების გამო ...ღესტანთან (ჩეჩენი აკინელები, ...ებით 100 ათასი კაცი ავარელე-... და ლაკებთან შეთანხმებით დააბ-... ნოვოლაკსკის — ყოფილი აუხო-... და ნაწილობრივ, კაზბეკოვსკისა ... ხასავიურტის რაიონებში. ეს იყო ...საბჭოური სივრცეში კონფლიქტის ...დობიანი გადაწყვეტის ერთადერთი ...თხვევა) გადაყვანილ იქნა მშვიდობიანი ...ლაპარაკების პროცესის ჩარჩოებში. ...კების პრობლემა (1957 წ. ჩეჩნეთს ...ეცა სტავროპოლის მხარის ნაურისა ... შელკოვსკის რაიონები) და თერგის ...კთა გასამხედროებული ნაწილების ...ტრით დაღესტნის „ყიზლარში") შექმნა ...რდა, თუმცა იგი არ იყო აღიარე-... რუსეთის ფედერაციის ოფიციალურ ... მხრიდან. ამასობაში, 450 ათასი ...იდან, რომელიც 1990 წ. ცხოვრობდა ...-ინგუშეთში, ამჟამად ჩეჩნეთში ... 150-200 ათასი (20 დეკემბრისთვის ...110" ათასი). „წითელი ჯვრის" მონა-...ებით, 1994 წლის 26 დეკემბრისთვის ...შეთში იმყოფებოდა 60 ათასი ...ოლილი, მოზდოკის რაიონში დაახ-...ებით — 50 ათასი, დაღესტანში — ... ათასი, ხოლო თვით ჩეჩნეთში — ... ათასი გადანაცვლებული პირი.

საერთოდ, **კავკასიაში შეიქმნა ძა-... შემდეგნაირი განლაგება:** ჩრდილო-... კავკასიის ხალხთა კავშირი (თურ-... მოდგმის ხალხებს გარდა) — ...კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, რო-...ლსაც არაოფიციალურად (1994 წლის ...ფხულის მოვლენებამდე) საქართველო-... კონფლიქტებში მხარს უჭერს ...სეთი; საქართველო და აზერბაიჯანი, ...ლებიც მისწრაფვიან ევროპულ ...განიზაციებში — ევროპის კავშირში, ...ტოში, ევროპაში უშიშროებისა და ...თანამშრომლობის თათბირში (ამჟამად ...განიზაციაში) ჩართვისკენ; რუსული ...რდილოეთ კავკასია და სომხეთი — ... მხრივ და საქართველო და ...ზერბაიჯანი — მეორე მხრივ.

ამგვარად, **კავკასიაში შეიძლება ...მოიყვეთოს 5 გეოპოლიტიკური ზონა:**

1. რუსული ბარიერი — კრასნო-...რისა და სტავროპოლის მხარეები, ...ლმუხეთი, ასტრახანის ოლქი მარგი-...ლური კაზაკური რეგიონებით.
2. **კავკასიის ხალხთა კონფედერაცია** — ადიღე, ჩერქეზეთი, ყაბარდო, ...რდილოეთ ოსეთი, ინგუშეთი, ჩეჩნეთი, ...ღესტანი (აგრეთვე, მათდამი მიმხრო-... აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი და ...ასმილოა, აზერბაიჯანის ლეზგებით ...სახლებული რაიონები).
3. **საქართველო და აზერბაიჯანი — ...ევროპაში უშიშროებისა და თანამშრო-...ლობის თათბირის (ორგანიზაციის) და ...ტოს მოქმედების ზონა.**
4. სომხეთი (მისი ტერიტორიული ...ტენზიებით საქართველოსადმი — ...ავახეთი და აზერბაიჯანისადმი — ...თიანი ყარაბაღი) და აჭარა, რომელსაც ...სეთის ჯარები აკონტროლებენ.
5. თურქეთი და ირანი.

1991 წელს ყოფილი ავტონომიების ... გამოუცხადებელი სუვერენიტეტების ..., რუსეთი საზღვრიდან (იგულისხმება ...-ს ყოფილი საზღვარი — მთარგმ. ...შენა) უკუგდებული იქნა და უფრო ..., მან შეიძინა ერთგვარი „მეხუთე ...ონა" საქართველოსთან და აზერბა-...თან ურთიერთობებში (რუსეთის სა-...რმაციო საშუალებები შემთხვევით ...ლევენ ჩეჩნეთისადმი აზერბაიჯანის ...დან დახმარების თემას). საქართვე-...ს და აზერბაიჯანთან ურთიერთობის ...ის თვალსაზრისით, რუსეთის საზ-...ისპირა ტერიტორიები ეშელონირე-... აღმოჩნდა — დაყოფილი საკუთრივ ...თად (ჩრდ. კავკასიის სტეპები და ...ური რაიონები) და მთიელი ხალ-... რუსეთად (ჩრდ. კავკასიის მთიანი ...ები). მთიელი ხალხები, საზოგადო-...-პოლიტიკურ მოძრაობაზე, ან უფ-... მაღალ დონეზე, დამოუკიდებლად, ...ერალური ცენტრის გვერდის ავლით, ...მდებიან ურთიერთობებს ამიერკა-...ის სახელმწიფოებთან.

ყველა კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის ხალხებს შორის საქართველო და აზერბაიჯანი პასუხს სთხოვდნენ და კვლავაც მოსთხოვენ რუსეთს, რომელიც პასუხისმგებელია თავისი ყოფილი ავტონომიების „ყოფაქცევაზე". ამგვარად, აფხაზეთის სუვერენიტეტი (26 ნოემბერს კონსტიტუციის მიღება) ეს მხოლოდ საქართველოს დასუსტება კი არაა, არამედ ჩეჩნეთის გაძლიერებაც. აქედან გამომდინარე, ამჟამად, როცა აფხაზეთს რუსეთის ჯარები იცავენ, ხოლო აფხაზეთისა და ყარაბაღის პრობლემები მოლაპარაკებათა პროცესის სტადიაში გადავიდა, როცა რუსეთმა განიმტკიცა სამხედრო პოზიციები საქართველოში და ეკონომიკური — აზერბაიჯანში, დამოუკიდებელმა ჩეჩნეთის რესპუბლიკამ დაკარგა თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობა რუსეთის პოლიტიკისთვის ამიერკავკასიაში. პირიქით, ახლა დღის წესრიგში დგება სხვა ამოცანა: სატრანსპორტო კავშირების აღდგენა საქართველოსა და აზერბაიჯანთან. ჩეჩნეთი კი ამას ხელს უშლის. აგვისტოში გადაწყვეტილებაც კი მიიღეს შემოვლითი სატრანსპორტო კომუნიკაციების — რკინიგზისა და ნავთობსადენების — მშენებლობის შესახებ. დაღესტანი კი, კასპიის ზღვაზე ნავიგაციის შეწყვეტასთან დაკავშირებით, შეიძლება დანარჩენი რუსეთისგან სრულ იზოლაციაში აღმოჩენილიყო.

საკუთრივ ჩეჩნეთის ეკონომიკა ღრმა და გაჭიანურებულ კრიზისშია: ერთობლივი ეროვნული შემოსავალი შემცირდა 70 პროცენტით. ოპოზიციის მონაცემებით, ბოლო სამი წლის განმავლობაში სამთავრობო წრეებში უკვალოდ გაქრა დაახლოებით 9 მილიარდი ნავთობდოლარი, ლიკვიდირებულია სარკინიგზო მიმოსვლის ყველა ძალოვანი და გამწევი ქვესადგური. 1994 წლის 8 თვის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიის სარკინიგზო კვანძის გროზნოს მონაკვეთზე გაიძარცვა 2 ათასი ვაგონი და კონტეინერი, რომლის ზარალმაც 11 მილიარდ რუბლზე მეტი შეადგინა. ჩეჩნეთისთვის ეკონომიკური დახმარების გაწევის მიზნით, ვიცეპრემიერ ოლეგ სოსკოვეცის განცხადების თანახმად, გამოყოფილია 1 ტრილიონი რუბლი (ჩეჩნეთში სამხედრო მოქმედებებზე 11-დან 21 დეკემბრამდე დაიხარჯა 400 მილიარდი რუბლი).

ნალჩიკში კავკასიის ხალხთა კონფედერაციის საგანგებო ყრილობის (11 დეკემბერს) შემდეგ კონფედერატების პარლამენტის განკარგულებით გამოცხადდა მოხალისეთა მობილიზაცია ადიღეში, ჩერკესკში, ნალჩიკში, ვლადიკავკაზში, ნაზრანსა და დაღესტანში (მოხალისეთა რაოდენობას ვარაუდობენ 10-15 ათასი კაცის ოდენობით). კრიზისის გამწვავებასთან ერთად, ძველი, უთანხმოებანი კონფედერაციაში (რომელიც გაიყო დუდაევის მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად) დაეტყო მისი ლიდერების ქცევას. შეიძლება კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პრეზიდენტის მუსა შანიბოვის გადადგომა იყოს ერთ-ერთი გამოვლინება ამ უთანხმოებისა, ისევე, როგორც ის, რომ კონფედერაციამ, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიაში სამშვიდობო ძალების პრეტენზიას აცხადებდა, ვერ შეძლო კრიზისის დაძლევა ჩეჩნეთის შიგნით ძალთა დაპირისპირების დროს. თვით შანიბოვი არ იყო განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობებით დაკავშირებული დუდაევთან და არ მიეკუთვნებოდა ორგანიზაციის ყველაზე რადიკალ მოღვაწეთა რიცხვს. ყოველ შემთხვევაში, იგი არ მიდიოდა მკვეთრი ნაბიჯების გადადგმაზე და არ ამწვავებდა უთანხმოებებს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკების ოფიციალურ ხელისუფლებთან.

კავკასიის ხალხთა კონფედერაციის პარლამენტის თავმჯდომარე ალი ალიევი იმყოფება გროზნოში და სურს უფრო თანმიმდევრულად გაატაროს პროჩეჩნური ხაზი კონფედერაციის საქმიანობაში. აფხაზეთში შეიარაღებული ძალები სრულ საბრძოლო მზადყოფნაში იქნენ მოყვანილნი „საქართველოს რესპუბლიკის მხრიდან მოსალოდნელი სამხედრო საფრთხის გამო". საპასუხოდ ედუარდ შევარდნაძის პრესცენტრმა განაცხადა, რომ „სრული საბრძოლო მზადყოფნა აფხაზეთში გამოცხადდა ჩეჩნეთის მოვლენებთან დაკავშირებით და არა ენგურს გამოღმიდან არარსებული საშიშროების გამო".

ოპოზიციური საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ცენტრალურმა საბჭომ გამოაცხადა, რომ „გამოეყენებინათ უკიდურესად ხელსაყრელი მომენტი, დაკავშირებული პოლიტიკური მოვლენების განვითარებასთან". წინააღმდეგ შემთხვევაში, საქართველო აუცილებლად აღმოჩნდება ჩათრეული კავკასიის ომში, მაგრამ, მისთვის აშკარად არახელსაყრელ პირობებში და მაშინ, ჩვენ საბოლოოდ დავკარგავთ აფხაზეთსო. ამავე დროს, ორი აფხაზური ბატალიონი, იარაღითა და ტექნიკით აღჭურვილი, გაიგზავნა ჩეჩნეთში.

სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი საქართველოს სასაზღვრო ჯარები ჩრდილოეთ კავკასიასთან დამაკავშირებელ მთის ბილიკებზე, რომ აღიკვეთოს ჩეჩნეთისთვის სამხედრო დახმარება. ჩეჩნეთის ამიერკავკასიასთან კავშირის მნიშვნელობა დადასტურებულ იქნა რუსეთის მთავრობის გადაწყვეტილებით, რომელმაც შეაჩერა საჰაერო მიმოსვლა საქართველოსა და აზერბაიჯანთან ინგუშეთის, დაღესტნის, ჩრდილოეთ ოსეთის, ყაბარდო-ბალყარეთის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, როსტოვისა და ასტრახანის ოლქების აეროპორტებიდან, აგრეთვე, ამ სახელმწიფოებთან საზღვაო მიმოსვლა რუსეთის ფედერაციის ნავსადგურებიდან შავი, აზოვის და კასპიის ზღვებზე (21 დეკემბრიდან).

რუსეთის გადაწყვეტილებამ, რომ დაეკეტა თავისი საზღვრები საქართველოსა და აზერბაიჯანთან, გამოიწვია ბაქოს მკვეთრად ნეგატიური რეაქცია. საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა ჰასან ჰასანოვმა 21 დეკემბერს განაცხადა, რომ „ამგვარი ნაბიჯებისთვის საკმარისი საფუძველი არ არსებობდა" და რომ მოსკოვი არ მოეთათბირა წინასწარ ბაქოს. მინისტრმა აგრძნობინა, რომ ამგვარმა გადაწყვეტილებამ შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს ურთიერთობებზე რუსეთსა და აზერბაიჯანს შორის. თბილისში ეს ნაბიჯი უფრო მშვიდად აღიქვეს.

აფხაზეთის ხელმძღვანელობამ დაადანაშაულა რუსეთი იმაში, რომ მან „რესპუბლიკის მოსახლეობა სასტიკ ბლოკადაში მოაქცია" და რომ, „ფაქტობრივად, აფხაზეთის მაცხოვრებლები რეზერვაციაში მოექცნენ". თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმირ შუმეიკო დაემუქრა აფხაზეთს სამიათასკაციანი სამშვიდობო კონტინგენტის გამოყვანით (6 თვე, გამოყოფილი ოპერაციების გატარებისთვის, ამოიწურა). თუ აფხაზეთი ჩეჩნების სამხედრო ბაზებს განალაგებს რიწის ტბისა და კოდორის ხეობის მიდამოებში, რუსეთი თავის ჯარებს საზღვარზე (ალბათ, საქართველო-რუსეთის საზღვარზე — მთარგმ. შენიშვნა) ჩააყენებს.

რუსეთის სამხრეთის კაზაკები, რომლებიც აფხაზეთში ჩეჩნებთან ერთად იბრძოდნენ, ახლა ფრონტის ხაზის საპირისპირო მხარეს აღმოჩნდნენ: რუსეთის კაზაკთა კავშირის ატამანის ამხანაგმა (ასეთი თანამდებობაც ყოფილა! — მთარგმ. შენიშვნა) ვლადიმირ ნაუმოვმა განაცხადა, რომ თერგისა და ყუბანის კაზაკები უკვე ქმნიან ოთხ ბატალიონს „ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის პროცესში მონაწილეობის მისაღებად".

ჩრდილოეთ კავკასიის ყველა რესპუბლიკიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს დაღესტნის აქტიურობას. თუ აფხაზეთის კონფლიქტის დროს დაღესტნელები, ჩეჩენ და ყაბარდოელ მეზობლებთან შედარებით, უფრო ინერტულები იყვნენ, ახლა კონფედერატების ექსპრეზიდენტის მუსა შანიბოვის გამოთქმით, „ამ რესპუბლიკამ ბოლოს და ბოლოს გაიღვიძა". აქტიური დაღესტანი თავისი ეთნიკური სიჭრელითა და შინაგანი წინააღმდეგობებით (ლაკელებსა და ყუმუხებს, ლეკებსა და აზერბაიჯანელებს შორის) წარმოადგენს საფრთხეს ერთაშორისი თანხმობისთვის ჩრდ. კავკასიაში.

ყაბარდო-ბალყარეთის პრეზიდენტი ვალერი კოკოვი ფიცით დაჰპირდა კონფედერატებს, რომ უახლოეს დღეებში რესპუბლიკის საგანგებო სესიაზე მიიღებენ რეზოლუციას, რომელშიც დაგმობილი იქნება რუსეთის აგრესია, ხოლო ინგუშეთის პრეზიდენტმა რუსლან აუშევმა განაცხადა, რომ „ინგუშეთს, ისევე, როგორც მთელ კავკასიას, უბიძგებენ რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლისკენ" და რომ „ეკონომიკური კეთილდღეობის არანაირი ზონების აღმართვა არ შეიძლება მეზობლების სისხლზე, მით უმეტეს, ძმებისა. მე გროზნოზე არანაკლებ ვარ დაინტერესებული ჩეჩნეთის საკითხის მშვიდობიანი მოგვარებით, იმიტომ, რომ მათი ომი უკვე ჩვენ ომად იქცევა".

**ამგვარად, პერიფერიული პრობლემა, რომელსაც ჩეჩნეთის კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარების ბლოკირება შეუძლია, არის ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნულ მოძრაობათა აქტივიზაცია.** ამ საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, აშკარა სამხედრო ზემოქმედების ნაცვლად, შეიძლება ეკონომიკური და სამხედრო ბლოკადის ჩარჩოებში არა მხოლოდ გროზნოს, არამედ მთელი ჩრდილოეთ კავკასიის მოქცევა, რომელიც, რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში დაიხრჩობა. მაგრამ ეს ისეთ ანტირუსული განწყობილებების ზრდას გამოიწვევს, რომ რუსეთში „შინაგანი" ლტოლვილები გამოჩნდებიან.

ამასთან დაკავშირებით, ისლამური რადიკალიზმის საშიშროების თეზისის ჭარბად გამოყენება შეიძლება იმ თვალსაზრისით, რომ დასავლეთს მისდამი ალერგია გააჩნია. **მაგრამ დღეს გამოჩნდა კავკასიის ხალხთა კონფედერაციის დამახასიათებელი ერთი მდგრადი თავისებურება იმ კანონზომიერებით, რომლითაც ის გამომჟღავნდა აფხაზეთის კონფლიქტის დროს:** ამ ორგანიზაციას, როგორც ორგანიზებულ და კონსოლიდირებულ ძალას, არსებობა შეუძლია მხოლოდ კონფლიქტის პირობებში. გარეშე მტრის გამოჩენისთანავე კონფედერატებს ავიწყდებათ საკუთარი შინაგანი პრობლემები და დაძაბულობის ყოველ ახალ ამოფრქვევასთან ერთად კონფედერატების რიგებიც ივსება. ამის მაგალითია დაღესტანი და ყაბარდო, რომელთა ეროვნული მოძრაობები უკვე მოითხოვენ თავისი მთავრობებისგან ჩეჩნეთისთვის ოფიციალურად მხარდაჭერას (ხელისუფლების დამხობის მუქარით) და დგებიან დუდაევის მხარეზე. ომის პირობებში უპირატესი გავლენით სარგებლობენ ლიდერები, რომლებიც ოფიციალური ხელისუფლების ჩაურევლობას კომპენსაციას უკეთებენ საკუთარი რადიკალიზმით (დაღესტანი და ყაბარდო). მოუფიქრებლობა, არათანამიმდევრულობა და ნაჩქარევი მოქმედება ჩეჩნეთში — ყოველივე ეს იძლევა იმის გაფიქრების საფუძველს, რომ ამგვარადვე არაა გათვალისწინებული ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონის მუდმივი არასტაბილურობის ზონად გადაქცევის პოლიტიკური შედეგები და ამიტომაც, მოსალოდნელია სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის არსებითი შესუსტება სამხრეთის საზღვრებზე (როგორ შეეფარდება ეს ხელშეკრულებას ჩვეულებრივი შეიარაღების შემცირების შესახებ?).

**ჩეჩნეთის პრეცედენტმა შეიძლება გამოიწვიოს ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა კონფედერაციის ტერიტორიული სახელმწიფოს წარმოშობა,** უპირატესად, მუსლიმანური მოსახლეობით და ქრისტიანული ოსეთის, საქართველოსა და სომხეთის დაცილება საკუთრივ რუსეთის ტერიტორიისგან (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები, ასტრახანის ოლქი). ჩეჩნეთის არსებობა წარმოადგენს არსებით წინააღმდეგობას ყაზახეთიდან, შუა აზიიდან, აზერბაიჯანიდან და ირანიდან შავი ზღვისაკენ (ნოვოროსიისკი) და ევროპისკენ ნავთობ და გაზსადენების გაყვანისთვის და, შესაბამისად, უფრო რეალური ხდება თურქეთის მარშრუტი.

**მაშასადამე,** ჩრდილოეთ კავკასიაში თანამედროვე რეგიონალური პოლიტიკის და ამიერკავკასიაში რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის კონტექსტში, **ჩეჩნეთის რესპუბლიკა წინააღმდეგობას უქმნის დსთ-ს ეკონომიკურ და სატრანსპორტო-კომუნიკაციურ სივრცეში ინტეგრაციულ პროცესებს.**

სახელმწიფოთა უმრავლესობამ ჩეჩნეთის მოვლენებზე თავშეკავებული რეაგირება მოახდინა, დაახასიათა იგი, როგორც რუსეთის საშინაო საქმე. ამ პოზიციის ჩარჩოებში, ზოგიერთმა ქვეყანამ, სადაც მუსლიმანური მოსახლეობა სჭარბობს (მაგალითად, თურქეთი, იორდანია და საუდის არაბეთი), განსაკუთრებული შეშფოთება გამოხატეს მომხდარით, იმოწმებდნენ რა ტრადიციულ ეთნოკულტურულ კავშირებს კავკასიასა და ამიერკავკასიასთან.

ამერიკის მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გაგებით ხვდებიან ჩეჩნეთში წესრიგისა და კანონიერების აღდგენის სტრატეგიულ მნიშვნელობას. „ჩრდილოეთ კავკასია, სადაც ჩეჩნეთი მდებარეობს, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია რუსეთის თავდაცვისთვის და იქ რუსეთის დასუსტება გამოიწვევს მთელი რეგიონის კიდევ უფრო მეტად დასუსტებას საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ჩათვლით. ესაა ადგილი სწრაფადცვლადი პოლიტიკური კავშირებით, ნავთობსადენების ხაზებით, რომელთაც უდიდესი მნიშვნელობა აქვთ" („ნიუ-იორკ ტაიმსი"). მაგრამ, „ნიუ-იორკ ტაიმსის" მოსკოველი კორესპონდენტი მაიკლ სპექტრი აღნიშნავს, რომ რუსეთმა „პირველად, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ 1991 წ. საკუთარ მოქალაქეებს ასეთი კოლოსალური სამხედრო ძალა დააყარა და ამიტომაც ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობა დიდი საფრთხის წინაშე იმყოფება", ხოლო კლოდია როსეტი „უოლ-სტრიტ ჯორნელში" წერს, რომ ნახტომი სამხრეთისკენ დიდ გამოცდას წარმოადგენს რუსეთის დემოკრატიის საფუძვლებისთვის და შეიძლება დაეტყოს როგორც რეფორმებს, ისე დასავლეთთან ურთიერთობებსაც, რადგან ჩეჩნეთის კრიზისი ზედ ედება უთანხმოებებს ბოსნიისა და ყარაბაღის კონფლიქტების გამო, ერაყის პრობლემასა და „ნატო"-ში აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მიღებას. ევროკომისიის ყოფილმა თავმჯდომარემ ჟაკ დელორმა განაცხადა, რომ რუსეთის მოქმედებანი ადასტურებს მისწრაფებას სსრკ-ს აღსადგენად. ამავე ტენდენციაზე მიუთითებს ევროპარლამენტის რეზოლუციაც. რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრომ კი გააფრთხილა მსოფლიო საზოგადოებრიობა, რომ თავი გაანებონ „ჩეჩნეთის მოვლენების ინტერნაციონალიზაციის ცდებს".

პირველად, 1991 წლის შემდეგ, რუსეთს რეალურად დაშლის საფრთხე დაემუქრა. არასოდეს იგი არ ყოფილა ამ საფრთხესთან ასე ახლოს — არც სუვერენიტეტების პარადის დროს, რომელიც წამოიწყეს რუსეთის ავტონომიებმა და დამთავრდა რუსეთის ოლქებსა და მხარეებში, არც კულმინაციის — 1992 წლის ზაფხულის დროს, როცა თათარსტანში რეფერენდუმის შემდეგ ქვეყანა შიშით ელოდა ყაზანსა და მოსკოვს შორის შეხლა-შემოხლის შედეგებს, არც 1993 წლის ოქტომბრის მოვლენების პერიოდში, როცა რუსეთის პროვინცია გაიყო უმაღლესი საბჭოს და პრეზიდენტის მომხრეებად. მაგრამ, ჩეჩნეთის შემთხვევაშიც, რომლის ხელისუფლებაც, როგორც ირკვევა, მზად არის დათმოს გამოცხადებული სუვერენიტეტის ნაწილი (ერთობლივი თავდაცვა და ეკონომიკა, ერთიანი ფინანსური და ენერგეტიკული სივრცე, ფედერალური საკუთრება და ა.შ.), როგორც ჩანს, კრიტიკული წერტილი უკვე გავლილია.

ჩეჩნეთში შეიარაღებული მოქმედებები რომც შეწყდეს, ეს არსებითად ბევრს ვერაფერს შეცვლის. რუსეთის „კავკასიური ომი" უკვე შედგა. რუსეთის ხელისუფლებმა ყველაფერი გააკეთეს რადიკალური სეპარატიზმის პოზიციების განსამტკიცებლად არა მხოლოდ ჩეჩნეთში და მთელს კავკასიაში, არამედ თავისი რესპუბლიკების უმრავლესობაში. ჩეჩნეთის კრიზისის დაწყების შემდეგ დასუსტება იწყო ინტეგრაციულმა პროცესებმა დსთ-ში და დამატებითი სტიმულები მიიღო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „ნატო"-სთან შეერთების მისწრაფებებმა. ასევე მოსალოდნელია ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის როლის გაძლიერება ამიერკავკასიის კონფლიქტების რეგულირებაში.

სამი ხანგრძლივი წლის განმავლობაში ოფიციალური მოსკოვი ცდილობდა არ შეემჩნია ჩეჩნეთის პრობლემა და უეცრად გადაწყვიტა, „გადამწყვეტი დარტყმით დაემყარებინა წესრიგი". საქმის არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ როგორც მემარცხენე და მემარჯვენე ოპოზიციის წარმომადგენლები შენიშნავენ, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა ხელისუფლების მორიგ კრიზისს განიცდიან. დღეს კავკასიაში წყდება არა „ტერიტორიული მთლიანობისა" და „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის" პრობლემები, არამედ ხელისუფლების პრობლემა მოსკოვში, უფრო ზუსტად კი, ხელისუფლების შენარჩუნებისა. სწორედ ამიტომაც, მოვლენათა განვითარების ყველა სცენარიდან არჩეულ იქნა ყველაზე ცუდი — ფეთქებადსაშიში ინგუშეთიდან და დაღესტნიდან ფლანგური შეტევები ჩეჩნეთზე ავიაციით, ტანკებითა და „სარაკეტო" დარტყმებით. იმიტომ, რომ მთავარი ამოცანაა — კავკასიის და შემდეგ, მთელი ქვეყნის ამოძრავება. არეულობათა პროვოცირება, სახელმწიფო სათათბიროს იძულება რომ დაიწყოს იმპიჩმენტი, შემდეგ კი, პარლამენტის დათხოვნა და ქვეყანაში საგანგებო წესების შემოღება, ანდა, უბრალოდ, ოპოზიციისთვის ერთი მძლავრი დარტყმის მიყენება, რომლისგანაც იგი დიდხანს ველარ გასწორდება წელში.

პრეზიდენტის გარემოცვაში მიღებულია ჩეჩნეთში კონსტიტუციური წესრიგის აღდგენის სამხედრო სცენარი. თუ სულ ცოტა ხნის წინ ათობით ჩეჩნური თვითმფრინავები ყოველდღე აწყობდნენ რეისებს უხილავი მარშრუტებით, ახლა ჩეჩნეთი მოკლებულია ეკონომიკური და სამხედრო დახმარების მიღების შესაძლებლობას. გროზნოს ბლოკადამ მიწაზე და ჰაერში უნდა აიძულოს ჩეჩენი ლიდერები შეასრულონ მოსკოვის პირობები — განიარაღდნენ და გამოთქვან მზადყოფნა არჩევნების ჩასატარებლად რუსეთის ხელისუფლებისა და უცხოელ მეთვალყურეთა კონტროლის ქვეშ. ნებისმიერი სხვა ვარიანტები მიუღებელი იქნება. ზამთარი აიძულებს ჩეჩენ ავტორიტეტებს — ტეიპების ხელმძღვანელებს, აგრეთვე, გავლენიან პირებს მოსკოვისა და პეტერბურგის დიასპორებში, იყვნენ უფრო დამთმობნი და გააძლიერონ ზემოქმედება დუდაევზე. შესაძლოა, რომ ეს პროცესი ხანგრძლივი აღმოჩნდეს, მაგრამ, ფედერალური ხელისუფლება, როგორც ჩანს, არ აპირებს თავის გეგმებზე უარის თქმას.

„ნეზავისიმაია გაზეტა"

20.01.95.

მეზობლები

# კავკასიის გადანაწილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩეჩნეთში მიმდინარე ომის ნებისმიერი დასასრული ჩრდილოეთ კავკასიას ეროვნულ-ადმინისტრაციული და ტერიტორიული საზღვრების ცვლილებებით ემუქრება.

ყველაზე აშკარად ეს საშიშროება იგრძნობა ყარაჩაი-ჩერქეზეთში, ჩრდილოეთ კავკასიის ყველაზე ახალგაზრდა ეროვნულ რესპუბლიკაში. იგი შეიქმნა 1990 წელს, როდესაც გამოეყო სტავროპოლის მხარეს. რესპუბლიკა უნიკალურია ეროვნული შემადგენლობით. ჯერ ერთი, არსად არ არის ამდენი სუბიექტწარმომქმნელი ხალხი, რამდენიც აქ: რუსები, ყარაჩაელები, ჩერქეზები, ნოღაელები, აბაზინები (სულ 50-ზე მეტი ეროვნება). მეორეც: რუსები ჩრდილოკავკასიის მხოლოდ ამ რესპუბლიკაში შეადგენენ უმრავლესობას.

ფედერაციის ახალი სუბიექტის წარმოშობას წინ უძღოდა მძაფრი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენები: „კაზაკური" რაიონების — ურუპისა და ზელენჩუკის — მცდელობანი, დარჩენილიყვნენ სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში ან გადასულიყვნენ მეზობელი კრასნოდარის მხარის მფარველობაში; მოთხოვნები აღედგინათ ყარაჩაისა და ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქები, რომლებიც არსებობდნენ 1957 წლის დირექტიულ ბრძანებამდე. ამ ბრძანებით ყარაჩაი-ჩერქეზეთი ერთ ავტონომიურ ოლქად გაერთიანდა და სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში შევიდა.

ტერიტორიის ახალმა სტატუსმა არ მოუტანა ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკას არც კეთილდღეობა და არც სიმშვიდე. ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლებით მას რუსეთის ფედერაციაში ერთ-ერთი ბოლო ადგილი უკავია. რესპუბლიკის დაარსებიდან ოთხი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა ფარული ომი ხელისუფლების განშტოებებს შორის, რომლებმაც საბოლოო ჯამში არც შეპირებული კონსტიტუცია წარმოუდგინეს რესპუბლიკას და სახალხო დეპუტატების არჩევნებიც გააუქმეს. ბრძოლა ხელისუფლებისთვის, გავლენის სფეროებისთვის, აშკარა პერსონიფიცირებულ ხასიათს ატარებდა. იგი მიმდინარეობდა ყჩრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ვლადიმერ ხუბიევსა და რესპუბლიკის სახალხო კრების თავმჯდომარეს ვიქტორ სავლიევს შორის, რომელთა შერიგებასაც ცდილობდნენ ფედერალური ხელისუფალნი. ამ ორი ლიდერის ომმა მკვეთრად ეროვნული ელფერი მიიღო, ჩაითრია რა საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობები, ეროვნული ელიტა.

ჩერქეზი ხალხის პირველი ყრილობა გასული წლის ბოლოს ჩატარდა. ყრილობამ გამოაცხადა ჩერქეზეთის ავტონომიური ოლქის აღდგენა სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში და თხოვნით მიმართა ყჩრ სახალხო კრებას დაემტკიცებინა ეს გადაწყვეტილება და ჩაეტარებინა რეფერენდუმი ამის თაობაზე. გადაწყვეტილება სტავროპოლის მხარეში გადასვლის შესახებ მიიღო ყჩრ რუსულენოვანი მოსახლეობის ყრილობამაც, რომლის ინიცირება მოახდინა მოძრაობა „რუს"-მა. როგორც ჩანს, მსგავს დადგენილებებს მათ კვალდაკვალ მიიღებენ ნოღაელი და აბაზინი ხალხების ყრილობები.

ჯერჯერობით მარტოობაში რჩებიან ყარაჩაელები — რესპუბლიკაში რიცხვით მეორე სატიტულო ერი, რომელთა ბრძოლამაც საკუთარი ავტონომიისთვის, ფაქტობრივად, ბიძგი მისცა ფედერაციის ახალი სუბიექტის — ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკის წარმოშობას.

ამგვარად, ყალიბდება ურთულესი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული პრობლემა, რომელსაც ყველა შანსი გააჩნია, მთელ რეგიონში გამოიწვიოს საშიში და წინასწარგამოუცნობი ჯაჭვური რეაქცია. ჯერ ერთი, სხვადასხვა ეროვნული ლიდერების მიერ უკვე იყო მცდელობა საზღვრების დადგენისა, მაგრამ, ჯერჯერობით წარუმატებლად; მეორეც, საჭირო გახდება პრეზიდენტის მორატორიუმის გაუქმება რეპრესირებული ხალხის შესახებ კანონში ჩაწერილი ტერიტორიული რეაბილიტაციის მუხლებთან დაკავშირებით.

ტერიტორიული რეაბილიტაცია პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთი სიმბოლოა ყაბარდო-ბალყარეთშიც. არ ცხრება ბალყარელი რაიონების აღდგენის მოთხოვნები „განუყოფელი რესპუბლიკის" შემადგენლობაში.

ნებისმიერ მომენტში შეიძლება განახლდეს სტავროპოლის მხარესთან მოზდოკის (ჩრდილოეთ ოსეთი) შეერთების კამპანია, რომლის შემადგენლობაშიც იგი რამდენიმე ათეული წლის წინათ შედიოდა.

ჩეჩნეთში მიმდინარე გაცხარებული ომის დროს სტავროპოლის კაზაკობამ ისევ დააყენა საკითხი ჩეჩნეთში მდებარე შელკოვსკისა და ნაურის რაიონების სტავროპოლის მხარის საზღვრებში დაბრუნების შესახებ, ისინი 1957 წელს ჩამოსცილდნენ სტავროპოლის მხარეს. კაზაკობა დარწმუნებულია, რომ ჩეჩნეთი რუსეთისთვის მაინც „მოკვეთილი ნაჭერია" და სანამ მდგომარეობა ამას ხელს უწყობს, საჭიროა მათი დაბრუნება.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიული საზღვრების პრობლემამ ნებისმიერ მომენტში შეიძლება დაღესტანშიც იფეთქოს...

ყჩრ-ს „სატიტულო ხალხის" ინიციატივებმა შეიძლება კრემლს მოულოდნელი სიხარული მოუტანოს და მისი მოქმედების იდეოლოგიურ დასაბუთებად გადაიქცეს: რომ თითქოსდა, მცირერიცხოვან ეროვნებებს თავის რესპუბლიკაშიც კი ეშინიათ შევიწროების და ამიტომ ისწრაფვიან რუსეთის ფედერალური ხელისუფლების მფარველობისკენ.

საზღვრების გადაკეთების პრობლემამ შეიძლება კავკასიის ქედიც გადალახოს. თუ ყჩრ სახალხო კრების მიერ მოწონებული რეფერენდუმი მხარს დაუჭერს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ცვლილებებს და შეერთებას სტავროპოლის მხარესთან, ხოლო ფედერალური ორგანოები დააკანონებენ ამ ნებას, განა არ აიძულებს ეს მოქმედება რუსეთს, გახდეს უფრო დამთმობი აფხაზეთთან მიმართებაში, რომელიც დიდი ხანია, ისწრაფვის მის შემადგენლობაში შესვლისკენ?

ჩეჩნეთის ომი, როგორც არ უნდა დამთავრდეს იგი, გადაჭრით ცვლის მდგომარეობას კავკასიაში, თვით კავკასიას და მის ურთიერთობებს რუსეთთან, რომლის პოლიტიკასაც ამ რეგიონში უზარმაზარი ბზარი გაუჩნდა.

„მოსკოვსკიე ნოვოსტი"

თარგმნა

ვახტანგ მშვიდობაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფეხბურთი

# ევროპაში საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტური გაიმართა

## იტალია
### მე-18 ტური

„იუვენტუსი“-„ბრეშია“ 2 : 1
„ლაციო“-„ბარი“ 1 : 2
„კრემონეზე“-„პარმა“ 1 : 1
„კალიარი“-„ფიორენტინა“ 2 : 0
„პადოვა“-„სამპდორია“ 1 : 4
„ფოჯა“-„რომა“ 0 : 1
„რეჯანა“-„ნაპოლი“ 1 : 2
„ინტერი“-„ტორინო“ 2 : 1

„ჯენოა“-„მილანი“ — მატჩი შეწყდა პირველი ტაიმის შემდეგ, რადგანაც სტადიონზე ატეხილი ჩხუბის შედეგად დაიღუპა 25 წლის გულშემატკივარი ვინჩენცო სპანიოლი, მძიმედ დაშავდა კიდევ 10 მაყურებელი.

| | თ | ქ |
|---|---|---|
| „იუვენტუსი“ | 17 | 38 |
| „პარმა“ | 18 | 35 |
| „ლაციო“ | 18 | 30 |
| „რომა“ | 18 | 30 |

## ესპანეთი
### მე-20 ტური

„ბეტისი“-„რეალი“ 0 : 0
„სელტა“-„ლოგრონიესი“ 0 : 1
„დეპორტივო“-„ალბასეტე“ 2 : 1
„ბარსელონა“-„ბილბაო“ 1 : 0
„ვალიადოლიდი“-„ხიხონი“ 2 : 0
„ოვიედო“-„რასინგი“ 3 : 1
„სოსიედადი“-„ესპანიოლი“ 2 : 0
„ტენერიფე“-„კომპოსტელა“ 2 : 0
„ვალენსია“-„სარაგოსა“ 3 : 0
„ატლეტიკო“-„სევილია“ 2 : 2

| | თ | ქ |
|---|---|---|
| „რეალი“ | 20 | 29 |
| „დეპორტივო“ | 20 | 27 |
| „ბარსელონა“ | 20 | 25 |
| „სარაგოსა“ | 20 | 25 |

## დაიწყო დსთ-ს ჩემპიონთა თასის გათამაშება

29 იანვარს მოსკოვში სტარტი აიღო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩემპიონთა თასის რიგით მესამე გათამაშებამ. შეგახსენებთ, რომ თასის მფლობელი გუნდი 100 ათას ამერიკულ დოლარს მიიღებს. პირველ მატჩში საქართველოს ჩემპიონი თბილისის „დინამო“ რუსეთის ოლიმპიურ ნაკრებს შეხვდა. თამაში თავიდანვე თბილისელთა შეტევებით დაიწყო. განსაკუთრებით აქტიურობდნენ გიორგი ქინქლაძე, მიხეილ ყაველაშვილი და გოჩა ჯამარაული. „დინამომ“ რამდენიმე სახიფათო მომენტი შექმნა და ორი მათგანი გოლითაც დააგვირგვინა. ბურთები გაიტანეს: ყაველაშვილმა და ქინქლაძემ. ამის შემდეგ ჩვენები მოეშვნენ და რუსეთის ოლიმპიურმა ნაკრებმა ანგარიში გაათანაბრა 2 : 2. მაგრამ იმ შეხვედრისთვის თბილისელები მეტოქეზე უკეთ იყვნენ მომზადებულნი. მათ კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა და საბოლოოდ გაიმარჯვეს ანგარიშით 4 : 2 (გოლები: ყაველაშვილი, ჯამარაული). მატჩის შემდეგ „დინამოს“ მწვრთნელმა, სერგო კუტივაძემ განაცხადა: მოხარული ვარ, რომ გუნდმა სწრაფად აუღო ალღო მდგომარეობას და პირველი მატჩი წარმატებით ჩაატარა. თუმცა, მაინცდამაინც ამ შეხვედრის მოგება მიზნად დასახული არ გვქონდა (რუსეთის ოლიმპიური ნაკრები კონკურსგარეშე თამაშობს). მომდევნო მატჩში მოლდოვის გუნდს ვეთამაშებით და ვფიქრობ, რომ ყველაფერი იქ გადაწყდება.

## ლოთარ მათეუსი თბილისში ვერ ითამაშებს



მიუნჰენელმა ექიმმა ვერნერ კეილმა ოპერაცია გაუკეთა გერმანიის ნაკრებისა და მიუნჰენის „ბაიერნის“ კაპიტანს ლოთარ მათეუსს, რომელმაც „ბაიერნისა“ და ბილეფელდის „არმინიას“ ამას წინათ გამართული მატჩის დროს სერიოზული ტრავმა მიიღო. სპეციალისტები ვარაუდობენ, რომ თუ ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მათეუსი მწყობრში 12 კვირის შემდეგ ჩადგება.

## «ბარსელონა» მკვლელობისთვის დააჯარიმეს

კატალონიის მთავრობამ 250 ათასი პესეტით დააჯარიმა „ბარსელონა“ ინციდენტის გამო, რომელიც გასული წლის 12 მარტს „ნოუ კამპის“ სტადიონზე „ბარსელონასა“ და მადრიდის „ატლეტიკოს“ შეხვედრის დროს მოხდა. მაშინ ერთ-ერთმა გულშემატკივარმა მოედანზე გამოუშვა კურდღელი, რომლის გამოჩენამ ფეხბურთელებში არეულობა გამოიწვია. „ბარსას“ ოფიციალურმა წარმომადგენელმა დაატყვევა „დამნაშავე“ და 90 ათასი გულშემატკივრის და მილიონობით ტელემაყურებლის თვალწინ გამოუყვანა წირვა. ახლა კლუბს, კანონის შესაბამისად, ამის გამო პასუხისმგებლობა დაეკისრა.

## ჟოაო ავლანჟის თასის გათამაშება

1-5 თებერვალს რიო-დე-ჟანეიროში გაიმართება ჟოაო ავილანჟის თასის გათამაშება მინი-ფეხბურთში, რომელშიც 6 ქვეყნის ნაკრები მიიღებს მონაწილეობას: ბრაზილია, ესპანეთი, ავსტრალია, არგენტინა, იტალია და აშშ.

## სასჯელებიც მორიგი ეტაპი საფრანგეთში

საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციამ მკაცრად დასაჯა „ბორდოსა“ და „სენტ-ეტიენის“ ამასწინანდელი შეხვედრის დროს გამართული მუშტი-კრივის მონაწილეები. სანქციის გამო ყველაზე მეტად „ბორდოს“ 36 წლის კაპიტანი დიდიე სენაკი დაზარალდა. „სენტ-ეტიენის“ პოლონელი ფეხბურთელის პეტრ სვერჩევსკის გალახვის გამო მას 31 მარტამდე აეკრძალა ფეხბურთის თამაში და, გარდა ამისა, 50 ათასი ფრანკის გადახდაც მოუწევს. დისკვალიფიცირებულია, აგრეთვე, „ბორდოს“ 3 მოთამაშე: კრისტოფ დიუგარი (4 შეხვედრით), ბიქსან ლიზარაზიუ (3 შეხვედრით) და ფრანკ ისტილიოლესი (1 შეხვედრით). „ჩვენ არ შეგვეძლო რეაგირების გარეშე დაგვეტოვებინა „ბორდოს“ ფეხბურთელების საქციელი, მიუხედავად იმისა, რომ ჩხუბი პოლონეთის ნაკრების წევრმა წამოიწყო“ —განაცხადა საფრანგეთის საფეხბურთო ლიგის დისციპლინარული კომიტეტის ხელმძღვანელმა ჟაკ რიოლაჩიმ. სენაკი კი მიიჩნევს, რომ მის და „ბორდოს“ სხვა მოთამაშეების მიმართ გამოტანილი სანქციები მეტისმეტად მკაცრია.

## მარადონა შეიძლება დაბრუნდეს

დიეგო მარადონამ, რომელიც ამჟამად არგენტინულ კლუბ „რასინგს“ წვრთნის, განაცხადა, რომ თხუთმეტთვიანი დისკვალიფიკაციის დასრულების შემდეგ, შეიძლება ნაკრებს დაუბრუნდეს. ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ დანიელ პასარელა მწვრთნელის პოსტს დატოვებს. ფეხბურთელმა აგრეთვე აღნიშნა, რომ ნაკრებში შეიძლება მაშინაც დაბრუნდეს, თუ პასარელა ტაქტიკას შეცვლის.

## მიქაელ ლაუდრუპი კარიერას „რეალში“ დაასრულებს

დანიის ნაკრების 30 წლის ნახევარმცველმა მიქაელ ლაუდრუპმა განაცხადა, რომ იგი სპორტული კარიერის დასრულებას მადრიდის „რეალში“ აპირებს. ფეხბურთელმა თქვა: „ფეხბურთს ცამეტი წელია ვთამაშობ და ამ ხნის მანძილზე სამშობლოს მოწყვეტილი ვარ. „რეალთან“ კონტრაქტი წელიწადნახევარში მიმთავრდება. კონტრაქტის დასრულების შემდეგ, ალბათ, ევროპის ჩემპიონატში მივიღებ მონაწილეობას და დიდ ფეხბურთს დავტოვებ, რადგან სამშობლო მომენატრა და შინ დაბრუნება მსურს.

## „რეინჯერსმა“ შევსება მიიღო

შოტლანდიის ჩემპიონმა და ამჟამინდელმა ლიდერმა „გლაზგო რეინჯერსმა“ ორ ახალგაზრდა ფეხბურთელთან კონტრაქტს მოაწერა ხელი. კლუბმა „დანდი იუნაიტედიდან“ 21 წლის გარი ბოლანი და ალექს კლილანდი მიიწვია. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა „რეინჯერსის“ სელექციონერთა ყურადღება შარშან მიიპყრეს, როცა „დანდი იუნაიტედმა“ შოტლანდიის თასის ფინალში „რეინჯერსი“ დაამარცხა.

ჩოგბურთი

# აგასი და პირსი — ავსტრალიის ღია ჩემპიონატის წლევანდელი გამარჯვებულები

AUSTRALIAN OPEN



მერი პირსი

მელბურნში დასრულდა ავსტრალიის ღია ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაჟთა თანრიგში ფინალში ერთმანეთს ამერიკელები, ანდრე აგასი და პიტ სამპრასი შეხვდნენ. მატჩი საკმაოდ დრამატულად და საინტერესოდ წარიმართა. თავიდან მსოფლიოს პირველი ჩოგანი დაწინაურდა, მაგრამ აგასი, რომელიც მთელი ტურნირის განმავლობაში სხვებზე მობილურად ასპარეზობდა, დროულად მოეგო გონს, გაათანაბრა ანგარიში და ხუთი სეტის ჯამში საბოლოოდ გაიმარჯვა კიდეც. ქალთა თანრიგში სიურპრიზი შემოგვთავაზა ფრანგმა ჩოგბურთელმა მერი პირსმა. იგი ფინალში ესპანელ არანტა სანჩეს-ვიკარიოს შეხვდა. პირსმა, რომელიც დიდების მწვერვალისკენ თანდათანობით, რამდენიმე წლის განმავლობაში მიიწევდა, ალმავლობით ჩაატარა ფინალური შეხვედრა, ორი სეტის ჯამში დაამარცხა მრისხანე მეტოქე (6 : 3, 6 : 2) და ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული გახდა.



მოკლედ

## რეკორდსმენი არაბი გამოდგა

ფიფამ სენსაციური ინფორმაცია გამოაქვეყნა: საუდის არაბეთის თავდამსხმელმა მაჯიდ აბდელაჰმა ეროვნულ ნაკრებში 147 მატჩი ჩაატარა, რაც 22 შეხვედრით აღემატება ლეგენდარული პიტერ შილტონის მაჩვენებელს, რომელიც აქამდე რეკორდსმენად ითვლებოდა. აღნიშნული ფაქტის შემდეგ რეკორდსმენთა სამეული ასე გამოიყურება:

1. მაჯიდ აბდელაჰი (საუდის არაბეთი) —147 თამაში
2. პიტერ შილტონი (ინგლისი) — 125 თამაში
3. ლოთარ მათეუსი (გერმანია) — 122 თამაში

## სატელევიზიო პროგრამები — სამშაბათი, 31 იანვარი

### „ოსტანკინო“

7.30. „უტრო“.
9.52. ნოვოსტი.
10.00. მულტსერიალი „ტოპო ჯიჯიო“.
10.25. ტელესერიალი „ველური როზა“.
10.52. ნოვოსტი.
11.00. გახსოვს, მეგობარო...
11.30. უკრავენ ვ.პაიდუკოვი და ს.ლარიონოვი (ბაიანი).
11.52. ნოვოსტი.
16.00. მცირე ბიზნესის კარიბჭე.
16.20. საქმე და სამართალი.
16.30. საქმიანი ცხოვრების ქრონიკა.
16.40. კულტურა და ბიზნესი.
16.52. ნოსოსტი
17.00. დომისოლკა.
17.30. ჯადოსნური სამყარო ანუ სინემა.
17.52. ნოვოსტი.
18.00. ჯემი.
18.20. ახალგაზრდული სერიალი „ელენი და მეგობრები“.
18.52. მსოფლიო დღეს.
19.00. რუსული სამყარო.
19.30. „СБ“-ს გამოცანა.
19.45. „ვინ ვინ არის. XX საუკუნე“. ვილჰელმ II.
19.52. ნოვოსტი.
20.00. პიკის საათი.
20.25. ტელესერიალი „ველური როზა“.
20.55. „ჩვენ“.
21.40. „ძილი ნებისა, პატარებო!“.
22.00. ვრემია.
22.40. პირველი ხელიდან.
22.50. მხატვრული ფილმი „სერიოზული თამაში“.
00.40. რ.შუმანი.
00.52. ნოვოსტი.
01.05. ჰოკეი. ცსკა — „იტილი“ (ყაზანი). II და III პერიოდები. შესვენებისას — პრესექსპრესი.

### „როსია“

8.00. ვესტი.
8.05. რიტმიკა.
8.20. ვარსკვლავები საუბრობენ.
8.25. სხვათა შორის.
8.55. დროის მდინარე.
9.00. ვესტი.
9.25. ტელეგაზეთი.
9.30. საქმიან ადამიანთა დრო.
10.00. ეი-ბი-სი-ს ახალი ამბები.
12.25. სავაჭრო სახლი.
12.40. სოფლის საკითხი.
13.05. „საქმიანი რუსეთი“.
15.00. ვესტი.
15.20. „საქმიანი რუსეთი“.
15.45. გადარჩენა — 911.
17.05. ტამ-ტამ ნოვოსტი.
17.20. დღესასწაული ყოველდღე.
17.30. მხატვრული ფილმი „განსაკუთრებით საიდუმლო მისია“ — I სერია.
18.00 ვესტი.
18.05. ახალი ხაზი.
18.35. რეპორტაჟები ადგილებიდან.
18.50. ჩუმი ლიდერები.
19.20. „არავინ არ არის დავიწყებული“.
19.25. დოკუმენტურ-პუბლიცისტური ფილმი — „ჩემი ომი“.
19:50. „თქვენი უფლება“.
20.05. ლ-კლუბი.
21.00. ვესტი.
21.25. წვრილმანები.
21.35. მხატვრული ფილმი „ცხელი თოვლი“.
23.35. კინოაფიშა.
23.50. კლიპ-ანტრაქტი.
24.00. ვესტი.
00.30. ავტოწამი.
00.40. დროის მდინარე.
00.45. კრიმინალურ შეტყობინებათა ეკრანი.
00.55. მხატვრული ფილმი.
01.55. „პარიზის სეზონები“

GEORGIAN MARITIME BANK



საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

მომსახურება მინიმალური ტარიფებით
საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღის ვადაში
ვალუტის კონვერტაცია
ნაღდი ფულის ინკასაცია
გაცვეთილი ფულადი ნიშნების შესყიდვა

CMB

დედა ლიანა, მამა რომეო, დები ირინა, მარიკა, სიძე გია ქურდაძე, დეიდები ეთერ მეფარიძე, მერი კაკაურიძე, ბიძები გოგი მაჭავარიანი, ვახტანგ, თამაზ თუთაშვილები, მამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

სოსო რომეოს ძე თუთაშვილი

პანაშვიდი 31 იანვარს და 1 თებერვალს 15 საათზე.
გამოსვენება 2 თებერვალს 14 საათზე.
მისამართი: ფალიაშვილის ქ.№66.

„კოკა-კოლა კავკასიონის“ კოლექტივი იუწყება, რომ გარდაიცვალა თანამშრომლის ბაბუკი კალანდაძის მამა

ვალიუტა ვარდენის ძე კალანდაძე

პანაშვიდი 31 იანვარს და 1 თებერვალს 15 საათზე.
გამოსვენება 2 თებერვალს 14 საათზე.
მისამართი: იოსელიანის ქ.№37.

ყოველდღიური გაზეთი „კავკასიონი“ იღებს შეკვეთებს სამგლოვიარო განცხადებების გამოქვეყნებაზე
მოგვმართეთ: პეტრიაშვილის ქუჩა №7
ტელეფონი: 29-48-05

სარედაქციო კოლეგია:

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ბოლოთაშვილი (უცხოეთი), დავით კახაბერი („თვალსაწიერი“), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ზონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.